ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



გვ.5

**ჯუმბერ თავართქილაძე: „ბათუმში ნაციონალები ბრუნდებიან „ქართული ოცნების“ სახელით“**

21 სექტემბრიდან

გიგო გაბაშვილი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ხუთშაბათი, 21 სექტემბერი, 2017 №224 (7459) ფასი: 50 თეთრი

# ნიკა რურუა: „ქართულ ოცნებას“ საკუთარი სიბრიყვე დაამარცხებს“



გვ.4

## რამაზ საყვარელიძე: „მილიონერის სიაში ჩასმა ამომრჩეველს ალიზიანებს“



„ევროპაში ბიზნესმენს აზრად არ მოუვა, რომ საპარლამენტო სიაში ადგილი იყიდოს“ გვ.3

## „ვანო ჯავახიშვილის შიშით პარლამენტი დაჩმორებული და დაკომპლექსებულია“





ემზარ კვიციანი იუმორისტის ხუმრობების შესწავლას ითხოვს გვ.2

## ლადო სადღობელაშვილი: „ვანო ჩხარტიშვილმა ვაშაძე მოგვისია“

გვ.2



## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი თუ ნორმალურია, ციხეში უნდა იჯდეს, თუ შეშლილია — ფსიქიატრიულში“



გვ.5

ISSN 1987-9385



გვ.3

## ბიბილოვი ბრიუსელში დაპატიჟეს

# „ვანო ჯავახიშვილის შიშით პარლამენტი დაჩმორებული და დაკომპლექსებულია“

შორენა მარსაგიშვილი



**ემზარ კვიციანი იუმორისტის ხუმრობების შესწავლას ითხოვს**



კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის მიერ პარლამენტში გაკეთებულ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მან კიდევ ერთხელ მოითხოვა 2006 წლის კოდორის მოვლენების გამოძიება. მისი აზრით, ამ მოვლენების შესასწავლად პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას.

კონტრდაზვერვისგან კი მან ვანო ჯავახიშვილის ხუმრობების შესწავლა მოითხოვა. ამტკიცებს, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ამ ხუმრობებით აჩმორებენ ქართველ პოლიტიკოსებს.

რატომ არ სურს ხელისუფლებას კოდორის მოვლენების გამოძიება, რატომ არის ჯავახიშვილის ხუმრობები გამოსაძიებელი, ვინ აპირებდა პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ლიკვიდაციას? – ამის შესახებ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ემზარ კვიციანი:**

– თქვენს გაზეთს და მის მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ მე დიდი ხანია ვითხოვ 2006 წლის კოდორის მოვლენების გამოძიებას. 20 სექტემბერს ამ საქმის გამოძიება პარლამენტის ტრიბუნიდანაც მოვითხოვე. დიდი იმედი არა მაქვს, რომ ეს რაიმე შედეგს გამოიღებს. ჩემთვის უკვე ნათელია, რომ სადღაციდან იბლოკება ეს თემა.

აშკარაა, რომ ვიღაცას ძალიან არ უნდა სააკაშვილის და მისი ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება.

***– ვის შეიძლება ეს არ აწყობდეს? საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ სააკაშვილის გასამართლებას აპირებს.***

– საქართველოს ხელისუფლება ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ რას აკეთებს? სააკაშვილის ძალიან ბევრი ლობისტი ჰყავს როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში. მისი მფარველები „ოცნებაშიც“ უხვად არიან წარმოდგენილი. ეს ხალხი ეწინააღმდეგება 2006 წლის კოდორის მოვლენების გამოძიებას. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სააკაშვილთან ერთად გარეულები არიან ამ საქმეში.

***– 2006 წლის მოვლენებს გულისხმობთ, როცა ამბობთ, ამ საქმეში არიან გარეულებიო?***

– დიახ, მაგ მოვლენებს ვგულისხმობ. ყველამ, ვინც ამ საკითხის შესწავლას ეწინააღმდეგება, რაღაცა წვლილი შეიტანა ამ ღალატში. უცხოელებს და შინაურ გამყიდველებს, ბუნებრივია, არ სურთ, რომ მათი დანაშაული გამოიკვეთოს.

მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მივაღწევ მიზანს და ამ საქმეების შესწავლა აუცილებლად დაიწყება. მერე ძალიან ბევრ მოღალატეს ჩაუვარდება ენა მუცელში.

***– პარლამენტის სხდომაზე ამ მოვლენებზე საუბრისას ვანო ჯავახიშვილიც ახსენეთ და მისი საქმიანობის შესწავლაც მოვითხოვეთ.***

– ძალიან სწორად მოვითხოვე და ახლავე გეტყვით, რატომაც მივახტი იმ თავგასიებულს. თავგასიებულს თავად ეძახის თავის თავს და ეს შეურაცხყოფა არ არის. შეურაცხყოფა აქეთ მომაყენა მაგან.

რამდენიმე დღის წინ უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება გავაკეთე. სააკაშვილი რომ შეიტანეს უკრაინაში სპეცსამსახურებმა, მაშინ ვთქვი, რომ ამ საქმეში ზესახელმწიფოები და გაეროც არიან გარეულები.

თავგასიებულმა ისე წარმომაჩინა, თითქოს მე გაერო სახელმწიფო მგონია. ამ დროს გაეროსთან ერთად სულ მცირე 15 წელი ვიმუშავე. კარგად ვიცნობდი მის წარმომადგენლებს დიტერ ბოდენს და ჰაიდი ტალიავინს. ამ უკანასკნელმა სააკაშვილის დანაშაულები შეისწავლა და გამოააშკარავა.

თქვენს გაზეთს კარგად ახსოვს, რამდენჯერ მომიწია გაეროს გატაცებულ თანამშრომლებზე მოლაპარაკებების წარმოება.

***– გიდასტურებთ, იმ პერიოდში კოდორში მართლა ხშირად იტაცებდნენ გაეროს დამკვირვებლებს.***

– ყველა მათგანი მე გამოვიხსენი. ვანო თავგასიებულმა კი ამ თემაზე დაიწყო ღლიცინი, ვითომ იუმორს მიმართა. ასეთი „იუმორი“ აღარ გავა. საქართველოს მტრები და ჯაშუშები ასეთ იუმორს არიან ამოფარებული.

მინდა ამ დიდ იუმორისტს შევახსენო, რომ გაეროს ჰყავს თავისი უშიშროების საბჭო და დაზვერვა. აი, იმ დაზვერვის ხალხმა სააკაშვილს ხელი შეუწყო, რომ 2006 წელს კოდორში ის სპექტაკლი დაედგა – ჯერ ჯარი შემოიყვანა, მერე გაასხვისა.

ამ დიდ ავანტიურაში გაეროსთან ერთად რუსეთი და ამერიკაც მონაწილეობდნენ. ახლა იგივე ძალებმა ის უკრაინაში შეიყვანეს. ეს იმას ნიშნავს, რომ იქაც რაღაცას გეგმავენ. არ მინდა ამ ქვეყანაში რაიმე უბედურება მოხდეს. უკრაინა მე ძალიან მიყვარს. რამდენიმე წელი ვსწავლობდი იქ და ბევრი ახლობელი მყავს.

***– იქ, თუ არ ვცდები, სამხედრო სასწავლებელში სწავლობდით.***

– სამხედრო აკადემია დავამთავრე უკრაინაში. ამ სასწავლებელში ვსწავლობდი, როცა გაეროს დამკვირვებლების მორიგი გატაცება მოხდა. მთხოვეს, გამტაცებლებთან მოსალაპარაკებლად ჩამოვსულიყავი.

***– თქვენ თავიდან უარს ამბობდით, ჩათვლები მაქვს, ვერ ჩამოვალო.***

– ჩათვლები მართლა მქონდა, მაგრამ ჩამომიყვანეს. უკრაინაში პრეზიდენტის თვითმფრინავი გამომიგზავნეს, რომ გაეროს დამკვირვებლები მომენახა. სინამდვილეში კი სულ სხვა მიზეზით ჩამომიყვანეს.

გაეროს დამკვირვებლები თავად უშიშროებამ გაიტაცა, რომ მე ჩამოვეყვანე. იმ დროს იქ უკვე შეგზავნილი იყო ხალხი, ვისაც ჩემი ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა. ამისთვის ყველაფერი მზად ჰქონდათ, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრეს.

***– იმ პერიოდში თქვენ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე არ იყავით?***

– მოადგილე ვიყავი და ჩემი ლიკვიდაცია უნდოდათ. მერე, რაკი ლიკვიდაცია გადაიფიქრეს, რწმუნებულად დამნიშნეს.

***– ლიკვიდაცია რატომ გადაიფიქრეს?***

– მაშინ ცოცხალი ვიყავი საჭირო და მაგიტომ.

***– თქვენი ლიკვიდაცია ვის უნდოდა?***

– ანტიტერორისტული ცენტრის რომელიღაცა ხელმძღვანელს. ეს ძველი ამბავია და მის გამოძიებას არც ვითხოვ. ჩემთვის ახლა მთავარია 2006 წლის მოვლენების შესწავლა. ბევრისგან განსხვავებით, მე ხელთ სერიოზული დოკუმენტები მაქვს. მათი გასაჯაროება ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. პარლამენტი კი თავს იკლავს, ისე არ უნდა ამ საქმის შესწავლა.

***– თუ ასეთი სერიოზული დოკუმენტები გაქვთ ხელთ, მოიწვიეთ პრესკონფერენცია და იქ გაასაჯაროვეთ.***

– პრესკონფერენციის მოწვევა რაში მჭირდება, საქართველოს პარლამენტი ბევრად მაღალი ტრიბუნაა. მათი გასაჯაროება იქ მარტივად შემიძლია, მაგრამ მინდა, რომ ეს საქმე საგამოძიებო კომისიამ გამოიძიოს.

არაფერი სიკეთე თუ არ იქნა ამ მიმართულებით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოვითხოვ და მერე ვნახავ, რას იტყვიან.

***– თქვენ პარლამენტის სხდომაზე ვანო ჯავახიშვილის ხუმრობების შესწავლაც მოითხოვეთ. საკმაოდ სპეციფიკური იუმორი გაქვთ და ეს ალბათ ხუმრობა იყო.***

– სულაც არ იყო ხუმრობა. ახლა გაგიშლი თემას, დააკვირდი და თავად მიხვდები, რომ ძალიან სერიოზული ვარ. აბა კარგად გადახედე, რა სჭირს ჩვენს პარლამენტს.

***– ჩვენს პარლამენტს ბევრი რამე სჭირს.***

– ბევრი რამე სჭირს, მაგრამ ყველაზე აშკარა ისაა, რომ პარლამენტი დამუნჯებულია. დეპუტატები ვანო ჯავახიშვილის შიშით არიან დამუნჯებული. ეშინიათ, რაიმე არ წამოსცდეთ და მერე ამათ არ დასცინონ.

***– თქვენც გეშლებათ ხოლმე რაღაცები, მაგრამ მაინც ხომ აკეთებთ განცხადებებს.***

– მე არ მეშინია. მე გაცნობიერებული მაქვს, რომ ყველას ეშლება რაღაცა. ერთადერთი, ვისაც არაფერი ეშლება, ეს არის ღმერთი.

ესენი არიან ჩასაფრებულები და ვინც ცოტა გადაბრუნებულს იტყვის სოროსზე და საქართველოს დანარჩენ მტრებზე, ეგრევე უჭერენ რაიმე შეცდომას და იმაზე ღლიცინებენ გაუთავებლად.

ამათ გამო არის დაჩმორებული და დაკომპლექსებული მთელი პარლამენტი. ვერ ხედავ, შიშით ვერაფერს ვერ ლაპარაკობენ. ეს არის ჯაშუშური ქმედება. ამაზე გამოძიება უნდა ჩაატაროს კონტრდაზვერვამ. კიდევ ერთხელ გეუბნები, რომ არ ვხუმრობ. ეს არის ძალიან სერიოზული ამბავი.

# ლადო სადღობელაშვილი: „ვანო ჩხარტიშვილმა ვაშაძე მოგვისია“

შორენა მარსაგიშვილი

**„ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ქართული მარშის წევრებს კინაღამ გეგმები შეუცვალა. არაა გამორიცხული, მარშისტებმა ამ დღეებში ვაშაძეს მოუწყონ აქცია და ზედ ვანო ჩხარტიშვილი და დავით საგანელიძეც მიაყოლონ.**



ვაშაძემ ქართულ მარშზე თქვა, რომ ის თავიდან ბოლომდე რუსული პროექტია და მას არანაირ ქართულთან საერთო არა აქვს.

– ამ მარშს ქართულთან კავშირი არ აქვს. ფსბ-ს პირდაპირი მითითებაა, ასეთი აქტივობები დაიწყოს. რუსეთი ამ პოპულისტური საკითხებით არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაში, მათ შორის უკრაინასა და ბალტიისპირეთშიც თამაშობს.

აქამდე მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ნორმა არ ყოფილა, მაგრამ საქართველოს მიწა მგონი არავის წაუღია. ამიტომ, ეს მთლიანად პოლიტიკური პოპულიზმი და ხალხის ნერვებზე თამაშია, – განაცხადა მედიასთან საუბარში ვაშაძემ.

ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი მიიჩნევს, რომ ვაშაძეს ამ განცხადების გაკეთება ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დაუკვეთა.

– ჩვენ არა ვართ პოლიტიკური პარტია და არც „ახალ საქართველოს“ მივიჩნევთ კონკურენტად. მით უმეტეს, არ ვცნობთ მის ნულპროცენტიან ლიდერს. მას არასდროს შევხებივართ. ისიც არ გვეხებოდა. ამ დღეებში კი მოულოდნელად გამოვარდა და რუსული პროექტი გვიწოდა.

დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მას ეს განცხადება თავისი ინიციატივით არ გაუკეთებია. ჩვენი ლანძღვა „ახალ საქართველოს“ ვანო ჩხარტიშვილმა დაუკვეთა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილი.

ის იმ მიზეზებსაც განმარტავს, თუ რატომ გაალანძღინა ჩხარტიშვილმა ვაშაძეს ქართული მარში.

– ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა ის გახლავთ, რომ უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვა აიკრძალოს. ვანო ჩხარტიშვილი დავით საგანელიძესთან ერთად კი ჩინელებისთვის აპირებს საკმაოდ დიდი ტერიტორიის მიყიდვას.

ჩვენი ინფორმაციით, ეს ორი ვაჟბატონი ჩინელებისთვის სოფლების მიყიდვასაც აპირებენ. ამბობენ, რომ თითქოს ჩინელებმა ჩაის პლანტაციები უნდა გააშენონ. საუბარია 500 მილიონიან გარიგებაზე.

ჩვენმა აქტიურობამ შეიძლება ეს ბინძური გარიგება ჩაშალოს. ამიტომაც მოგვისია ჩხარტიშვილმა თავისი სიძე ვაშაძე, – აღნიშნავს მარშის ერთ-ერთი ლიდერი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „მილიონერის სიაში ჩასმა ამომრჩეველს აღიზიანებს“

## „ევროპაში ბიზნესმენს აზრად არ მოუვა, რომ საპარლამენტო სიაში ადგილი იყიდოს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დეპუტატების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიში გამოაქვეყნა, რასაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. დეპუტატები არ ეთანხმებიან ანგარიშის შედეგებს. რამდენად არის საქართველოს პარლამენტის პრობლემა ის ბიზნესმენები, რომლებიც მოდიან პოლიტიკაში იმიტომ, რომ ლობირება გაუწიონ მხოლოდ საკუთარ ბიზნესს, თუ ეს გავლილი ეტაპია?***

– არა, გავლილი ეტაპი ნამდვილად არ არის. ამ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მართალია, არც ეს დეპუტატები და არც პარლამენტის თავმჯდომარე არ ეთანხმება ამ კვლევის შედეგებს, მეტიც, უპასუხისმგებლოს უწოდებს, მაგრამ პრობლემა რომ არსებობს, ეს დღეს არ გარკვეულა. მსგავსმა კვლევებმა ასეთ დღეში რომ არ ჩააგდოს არც პარლამენტი და არც მისი ხელმძღვანელობა, ამისთვის საჭიროა მეტი კონტროლის მექანიზმების არსებობა.

ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ავადმყოფობა არ არის. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, თუკი ბიზნესს მიეცა შესაძლებლობა, ის ცდილობს შეეზარდოს ხელისუფლებას, რათა უფრო კომფორტულად იყოს. ამიტომ უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც ამ რისკს მინიმუმამდე დაიყვანს, ნულამდე დაყვანა ალბათ შეუძლებელია.

***– პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ძალიან მკაცრია ამ მიმართულებით კანონმდებლობა, დეპუტატობის პარალელურად სამეწარმეო საქმიანობა უფლებამოსილების შეჩერებით ისჯება.***

– ეს კანონი არსებობს, მაგრამ კონტროლისთვის მეტი მექანიზმია საჭირო. სანამ ჟურნალისტებამდე მივა საქმე და ატყდება მთელი ამბავი, იქამდე, ვისაც ეს ევალება, თუნდაც კომიტეტის თავმჯდომარემ, რატომ არ მოიკვლია ეს საკითხი?!

***– გიორგი კახიანმა განაცხადა, რომ მისთვის ეს ახალი ამბავი არ არის.***

– და მაშინ რატომ არ იმოქმედა?! კარგ კანონებს ვიღებთ, მაგრამ მათი აღსრულების მექანიზმი არ არის ისეთი, რომ რეალურად მოხდეს მისი ამოქმედება.

***– შევარდნაძის მმართველობის დროს მოვიდნენ ძირითადად ბიზნესმენები ხელისუფლებაში და ღიად ლობირებდნენ თავიანთ ბიზნესს. გვახსოვს, საპარლამენტო სიებში მოსახვედრად დიდ თანხებს როგორ იხდიდნენ.***

– დიახ, ეს ადამიანები ღიად მოდიან ბიზნესის საკეთებლად და არა პოლიტიკის საკეთებლად, ამაშია მთელი უბედურება.

***– ეს ალბათ უფრო საბჭოური გადმონაშთია, რადგან ევროპაში სულ სხვანაირად ხდება.***

– ევროპამ ეს ეტაპი გაიარა. ჩვენ ვერ გავიარეთ. ცხადია, ყველა ქვეყანაში ბიზნესი დაინტერესებულია, რომ ისეთი გარემო შეიქმნას, ისეთი კანონები იქნას მიღებული, რომ თავი კარგად იგრძნოს და ამით ქვეყნის ბიუჯეტშიც შეიტანოს თავისი წვლილი, მაგრამ ევროპაში ბიზნესმენს თავში აზრად არ მოუვა, რომ როგორმე საპარლამენტო სიაში ადგილი იყიდოს და თვითონ დაჯდეს პარლამენტში.

ის აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ ისეთი ძალები, რომელთა მმართველობის დროსაც მისი ბიზნესი დაცული იქნება. ევროპულ სინამდვილეში ბიზნესი თავის ინტერესებს პოლიტიკური პარტიების საშუალებით აგვარებს, აფინანსებს ამა თუ იმ პარტიას და ცდილობს, ის მოვიდეს. ჩვენთან კი თავად ბიზნესი ცდილობს, მოვიდეს ხელისუფლებაში.

***– და რამდენად არის ეს ჯანსაღი?***

– რა თქმა უნდა, არ არის ჯანსაღი. თუმცა, ორივე შემთხვევაში გამოდის, რომ ქვეყანა არ არის დაცული ბიზნესინტერესების გავლენებისგან.

***– საპარლამენტო სიებში ბიზნესმენების ღიად ჩასმა რამდენად არის მომგებიანი პარტიებისთვის?***

– ეს არის საინტერესო კითხვა. თუ არსებულ სოციალურ ფონს გავითვალისწინებთ, არჩევნებზე მისული ადამიანების უმეტესობას ის მილიონერი, რომელიც სიაში დახვდება, ვერანაირად ვერ მოხიბლავს. მას ეგრევე უჩნდება პროტესტის განცდა და ეს სრულიად ადამიანური განცდაა. მეორე საკითხიც იჩენს თავს – „მე მომპარა“, „ქვეყანას მოპარა“, „საიდან მოიტანა“, ხომ გსმენიათ ეს ფრაზები. ამ შემთხვევაში მილიონერების ასე ღიად ჩასმა საპარლამენტო სიაში, რასაკვირველია, მომგებიანი არ არის.

***– თუმცა, ის განცდაც ხომ არის: ის არის მილიონერი და მე არ მომპარავს.***

– რა თქმა უნდა, ეს განცდაც არის, მაგრამ ამ შემთხვევაში წვრილფეხობა არ იგულისხმება. გააჩნია ბიზნესისა და ბიზნესმენის მასშტაბს. ასეთი განცდა აქვს ადამიანს იმ შემთხვევაში, თუ საუბარია მილიარდერზე, რომელიც მხოლოდ ქველმოქმედებით არის დაკავებული და ფულიც სხვა ქვეყანაში აქვს ნაშოვნი და არა აქ, საქართველოში.

***– რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა პარლამენტარი მილიონერების სია, რასაც ძალიან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. საზოგადოების რეაქცია არცთუ სახარბიელო იყო, რადგან 150-კაციან პარლამენტში რამდენიმე ათეული მილიონერი აღმოჩნდა.***

– სწორედ ამაზე მოგახსენებდით, მაგრამ მეორეა, ამ ადამიანებს ხომ ისევ ეს საზოგადოება ირჩევს?!

***– თუ პროტესტი აქვთ, მაშინ რატომ ირჩევენ?***

– შეიძლება მიზეზი სულ სხვაგან იყოს. წინასაარჩევნოდ ეს მილიონერები ძალიან გულუხვები და ხელგაშლილები ხდებიან და ამომრჩევლის სიმპათიებსაც იმსახურებენ. ეს რეალობაა და მოვახერხებთ თუ არა ამ რეალობის თავიდან აცილებას, ეს სხვა საკითხია.

# ლადო სადღობელაშვილი: „ვანო ჩხარტიშვილმა ვაშაძე მოგვისია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სადღობელაშვილის თქმით, ჩხარტიშვილი რომ ვაშაძეს აფინანსებდა, ეს საზოგადოებამ ჯერ კიდევ შარშან გაიგო.

– გახსოვთ ალბათ, როგორ გამოვარდა ვაშაძე ნაციონალებიდან. მის იქედან წამოყვანაზე ჩხარტიშვილმა აიღო პასუხისმგებლობა. ვაშაძეს ჩხარტიშვილის ნათესავი ჰყავს ცოლად. ახლა ეს თავისი სიძე ჩვენს წინააღმდეგ დაქოქა, – აცხადებს სადღობელაშვილი.

მისი თქმით, ვანო ჩხარტიშვილი ხმის ამოღებასაც კი ვერ უნდა ბედავდეს.

– წლების წინ ამ ვაჟბატონმა მთელი საქართველო გაძარცვა. მიითვისა ხალხის ანაბრები და მოიწყო ცხოვრება. ანაბრები არ იკმარა და ახლა უნდა ქართული მიწის გაყიდვით გამდიდრდეს.

ამ ადამიანის თავხედობას წერტილი უნდა დაესვას. სანამ ჩვენ წინააღმდეგ ვინმეს დაიქირავებს, ჯერ მოპარული მილიონები დაუბრუნოს ხალხს, – ამბობს მარშის ერთ-ერთი ლიდერი.

ის პირობას დებს, რომ ვანო ჩხარტიშვილისთვისაც მოიცლიან.

– კმარა ამ კაცის დაუსჯელად პარპაში. აუცილებლად მოვთხოვთ ხელისუფლებას, რომ სამართლიანობის აღდგენა მისგან დაიწყოს. ხალხისთვის მოპარული ფული ხალხს უნდა დაუბრუნდეს, – აცხადებს სადღობელაშვილი.

ის გიორგი ვაშაძეს ცოლის ნათესავის წარსულის შესწავლისკენაც მოუწოდებს:

– თავი ხომ სამართლიანობის დამცველად მოაქვს. ჰოდა, გვითხრას, რა ჰქვია ხალხის ანაბრების შეჭმას. მაგ ახალგაზრდას ისიც მინდა შევახსენო, რომ სწორედ ჩხარტიშვილია ფსბ-ს პროექტი, შევარდნაძის დროს მაგათ გარეშე ამდენ ფულს არავინ მოგაპარინებდა.

# ბიბილოვი ბრიუსელში დაპატიჟეს

შორენა მარსაგიშვილი

იტალიელი პოლიტიკოსები აშკარად ვერ არიან თავის მატორზე. სენატორმა ანტონიო რაცციმ კიმ ჩენ ინთან სამშვიდობო მისიით იუვენტუსის ვარსკვლავის, დიბალას გაგზავნა მოითხოვა, ყოფილმა ევროპარლამენტარმა ჯულიეტო კიეზამ კი ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი ბრიუსელში დაპატიჟა.

ჯულიეტო კიეზა ამ დღეებში თავად იმყოფებოდა ცხინვალში, სადაც სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობდნენ. ამ ზეიმზე ოსები დამოუკიდებლობაზე მეტად რუსეთის შემადგენლობაში შესვლის აუცილებლობაზე საუბრობდნენ.

რუსეთისკენ სწრაფი ტემპით მიმავალებს ყოფილი ევროპარლამენტარი დაჰპირდა, ევროპაში მე გაგაპიარებთო.

ოსური მედიის ცნობით, კიეზამ ცხინვალში გამართულ ოფიციალურ შეხვედრებზე სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ისაუბრა.

ევროპარლამენტის ექს-დეპუტატს ცხინვალის არაღიარების მიზეზებზეც უბაასია. კიეზას აზრით, აუღიარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ევროპას ოსი ხალხის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

იტალიელი პოლიტიკოსი პირობას დებს, რომ ის სამხრეთ ოსეთის შესახებ ჭეშმარიტ ინფორმაციას გაავრცელებს.

ჯულიეტო კიეზას განცხადებებმა სრულიად ცხინვალს აუჩუყა გული. იქაურმა საკანონმდებლო ორგანომ სპეციალური დადგენილება მიიღო – კიეზა



ამიერიდან ევროპარლამენტში სამხრეთ ოსეთის ინტერესების წარმომადგენელი იქნება.

ცხინვალში გამართულ შეხვედრაზე იტალიელმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ

შეეცდება სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ბრიუსელში მიწვევას.

– ანატოლი ბიბილოვი უნდა გამოვიდეს ევროპარლამენტში და ევროპარლამენტარებს თავად მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რას წარმოადგენს მისი რესპუბლიკა, ისტორია და ხალხი.

ჩემი მიზნის უახლოეს თვეებში განხორციელება რთული იქნება. თუ გამოვა, ეს იქნება ფუნდამენტური მომენტი და, რა თქმა უნდა, გამოიწვევს დიდ სკანდალს. არის რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც მზად არიან, მხარი დაგვიჭირონ. ევროპარლამენტში ცალკეულ დეპუტატებს აქვთ გარკვეული ღონისძიებების ორგანიზების უფლება, ამიტომ ჩვენ შევკრებთ დეპუტატების ჯგუფს, რომლებიც მიიწვევენ პრეზიდენტს, თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრს. მე ძალიან მოხარული ვიქნები თუ ამის გაკეთებას შევძლებთ, – განაცხადა კიეზამ.

მისივე ინფორმაციით, ანატოლი ბიბილოვი მიმდინარე წელს აუცილებლად ჩავა იტალიაში. იტალიაში ცხინვალის მთავრობის მინისტრებიც არიან მიწვეული.

აღსანიშნავია, რომ ბიბილოვი იტალიაში ე.წ. ოფიციალური ვიზიტით უკვე იმყოფებოდა. ოღონდ მაშინ ეს კაცი პარლამენტის სპიკერი იყო.

კიეზას ცხინვალურ ვოიაჟს მალევე გამოეხმაურნენ ევროპარლამენტარები. ნიუპორსტის ცნობით, ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის თანათავმჯდომარემ საჯად კარიმმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობასთან დაკავშირებით ევროკავშირის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა:

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საკამათო არაა, ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება, პარლამენტის ფარგლებში აქტივობა მხოლოდ მოქმედ დეპუტატებს შეუძლიათ და არა ყოფილებს, ჩვენ არ შეგვინიშნავს, რომ ასეთი ტიპის ქმედებები დაეგეგმათ მოქმედ წევრებს. ჩვენ ამის შესახებ თბილისში გამართული შეხვედრების დროს შევიტყვეთ.

ყოფილ ევროპარლამენტარებს უფლებამოსილება აღარ აქვთ და ამიტომ, არანაირი ინფორმაცია ამის შესახებ არ გვაქვს. არ მინდა, უხეში ვიყო, მაგრამ ალბათ, ყოფილები იმიტომაც არიან, რომ ამას იმსახურებენ, – განაცხადა საჯად კარიმმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიეზას განცხადებების გამო თავი დიდად არ გაინერვიულა.

საგარეო უწყების განმარტებით, რუსეთთან ასოცირებული კერძო პირები ვერ მოახდენენ საერთაშორისო პლატფორმის გამოყენებას თავისი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის.

– ასეთი ფორმატებით საოკუპაციო რეჟიმის პროპაგანდა ვერ მოხდება, – მიაჩნიათ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

# გიორგი მარგველაშვილი: „ხელის გადაგრეხვით რეალურად თანხმობის დოკუმენტს ვერ მივიღებთ“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მმართველ გუნდს ურჩია, გაითვალისწინოს მისი და ოპოზიციის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებებზე შემუშავებული დოკუმენტი. ამის შესახებ მან არასამთავრობო სექტორთან შეხვედრაზე განაცხადა.

– ჩვენ უნდა შევქმნათ თანაცხოვრებისა და თანხმობის დოკუმენტი და არავის უნდა მოვახვიოთ თავს შეხედულება, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია სწორად. კონსენსუსის მაგალითი უკვე მისცეს პარტიებმა და მე იმედი მაქვს, რომ ამ მაგალითს გაიზიარებს მმართველი ძალაც, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილის აზრით, მნიშვნელოვანია, განსხვავებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაანახონ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია.

– მე მაქვს იმედი, რომ ფაქტი იმისა, რომ ჩვენ უნდა შევთანხმდეთ – იქნება გააზრებული. მე იმედი მაქვს, მმართველი გუნდი გაიაზრებს იმას, რომ პულტებით, ხელის გადაგრეხვით რეალურად თანხმობის დოკუმენტს ვერ მივიღებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ის კლიშე, რომ განსხვავებული პოლიტიკური ძალები ვერ თანხმდებიან – დანგრეულია. მე მიხარია, რომ მივედით ერთიან ხედვამდე და იმედი მაქვს, რომ თანხმობის მოტივაცია გადაძლევს იმ სიხისტეს, რომელიც უკვე მერამდენედ ახასიათებს იმ ძალას, რომელსაც გააჩნია პულტები. უკვე მერამდენედ ეს ძალა არ უყურებს წინა გამოცდილებას, რომ იძულებით რაღაცის მიღება ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელია, – თქვა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ოპოზიციასთან შემუშავებული დოკუმენტი ვენეციის კომისიას და მმართველ პარტიას გაუგზავნა.

მედიანიუსი

# ნიკა რურუა: „ქართულ ოცნებას“ საკუთარი სიბრიყვე დაამარცხებს“

ნონა ცაბაძე

საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე პრეზიდენტმა და ოპოზიციურმა პარტიებმა ერთობლივი დოკუმენტი მიიღეს.

„ახალ თაობას“ აღნიშნული დოკუმენტის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები რომან გოცირიძე და ნიკა რურუა ესაუბრნენ. რომან გოცირიძე – ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე.

***– ბატონო რომან, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით პრეზიდენტის და ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებული ერთობლივი დოკუმენტი წარმოადგინა. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ეს არის ულტიმატუმის ენით საუბარი პრეზიდენტის და ოპოზიციური პარტიების მხრიდან. როგორია თქვენი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?***

– პრეზიდენტის ეს ინიციატივა არის ბოლო შანსი სახელისუფლო უმრავლესობისათვის, რომ თავი დააღწიოს იმ საერთაშორისო და საშინაო იზოლაციას, რომელშიც მან ჩაიგდო თავი. ამ კონსტიტუციას არ ჰყავს მომხრე არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ. სასაცილო ის არის, რომ ინდივიდუალური ექსპერტიც კი ვერ დაიქირავეს, რომელიც ამ კონსტიტუციას გაამართლებს. როგორც ჩანს,



იმდენად სამარცხვინოა ამ კონსტიტუციის გამართლება, რომ ვერ გამოჩნდა სოლიდური სახის მქონე ადამიანი, თუნდაც დიდი თანხის სანაცვლოდ, რომელიც იტყვის, რომ ეს არის კარგი!

***– ანუ?***

– ანუ ეს არის სრული იზოლაცია და სრული კრახი! ხელისუფლება ამ ყველაფერს წარმოაჩენს ისე, რომ რადგან ორი მოსმენით მიღებულია და მესამე მოსმენა მხოლოდ რედაქციული ხასიათისაა, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესი შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების სახით. ანუ კვლავ უნდა იყოს საყოველთაო განხილვა და მრავალი თვის შემდეგ შეიძლება რაღაცა შეიცვალოს, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი, ეს არის პრეზიდენტის ვეტო.

***– არც ვეტოს დაძლევა გაგვიჭირდებაო, აცხადებენ უმრავლესობის წევრები.***

– როდესაც არსებობს ვეტო, ეს ნიშნავს იურიდიულ და პოლიტიკურ შანსს, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინოს ის შენიშვნები, რომლებიც წამოვა პრეზიდენტისგან და ოპოზიციისგან. ან თუნდაც შენიშვნების ნაწილი და ამით ეს იურიდიული სირთულე დაიძლევა. თუკი პრეზიდენტის ვეტო დაძლეული იქნება უმრავლესობის მხრიდან, ეს შექმნის ქვეყანაში სამომავლო კრიზისის ძალიან სერიოზულ საფუძველს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ როდესაც ერთი პარტია საკუთარ თავზე მორგებს კონსტიტუციას, რომლის მთავარი მიზანი არის ხელისუფლებაში დარჩენის უზრუნველყოფა კონსტიტუციის მეშვეობით, სადაც მთავარი თემა არის არჩევნები, ბუნებრივია, რომ თავად ხელისუფლება იქნება, სულ მცირე, მორალურად და პოლიტიკურად არალეგიტიმური. ამით ხელისუფლება კანონგარეშე ჩაიყენებს თავს და თავად ეს კონსტიტუცია გახდება სერიოზული დაპირისპირების საგანი.

❖ ❖ ❖

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა პრეზიდენტის პოზიციასთან დაკავშირებით უმრავლესობის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმიანება და აცხადებს:

– უმრავლესობა უტარო კოვზივით ყველგან ხმარობს სიტყვა ულტიმატუმს და ჰგონია, რომ ამით ყველა ტყუილს გაამართლებს. ეს არის სრული სიცრუე, რასაც ისინი ამბობენ, რომ ვინმე ვინმეს მხარეს დადგა.

***– არ დამდგარა მარგველაშვილი ოპოზიციური პარტიების მხარეს?***

– პრეზიდენტი დადგა კეთილგონიერების მხარეს და დროა, „ქართული ოცნებაც“ დადგეს კეთილგონიერების და ქვეყნის ინტერესების მხარეს და ერთპარტიული კონსტიტუცია კი არ მიიღოს, მიიღოს კონსტიტუცია, რომელზედაც ყველა იქნება შეთანხმებული, რომ ეს კონსტიტუცია სჭირდება ხალხს, ხალხის მონაწილეობას დემოკრატიაში და სჭირდება ქვეყანას.

***– კონსტიტუციის ახალი ვარიანტი ამ ყველაფერს გამორიცხავს?***

– რასაც დღეს „ქართული ოცნება“ გვთავაზობს, ეს გამორიცხავს, რომ ხალხმა სურვილის შემთხვევაში შეცვალოს ხელისუფლება. ეს არის ძალიან ცუდი, არადემოკრატიული და ერთპარტიული დოკუმენტი. ამიტომ პრეზიდენტი, ისევე როგორც ყველა პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური პარტია, აცნობიერებს, რომ ეს კონსტიტუცია არ არის მისაღები და, შესაბამისად, ჩვენ არა მხოლოდ ეს ვთქვით, არამედ კონკრეტული მოდელი შევთავაზეთ ხელისუფლებას.

თუ შეთავაზება ულტიმატუმია, მაშინ ყველაფერი ულტიმატუმია! ლაპარაკიც ულტიმატუმია, ადამიანების ურთიერთობაც ულტიმატუმია. „ქართული ოცნება“ ძალიან ბრიყვულად იქცევა და თუთიყუშივით ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებს, რაც მათ აუცილებლად დაამარცხებს. სწორედ საკუთარი სიჯიუტე და სიბრიყვე დაამარცხებს „ქართულ ოცნებას“!

***– უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მათთვის არც ვეტოს დაძლევა იქნება დიდი პრობლემა. ამ შემთხვევაში რას აპირებს ოპოზიცია?***



– გამოჩნდება, რას ვაპირებთ და რა იქნება! დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენს გეგმებს წინასწარ ვერავის გავაცნობთ!

***– არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც დღეს ამდენს ყვირიან, 2010 წელს ჩუმად იყვნენ, როდესაც არადემოკრატიული კონსტიტუცია იქნა მიღებული და ამ ცვლილებებს უპრობლემოდ დაუჭირეს მხარიო. ამაზე რას იტყვით? თქვენ მიერ მიღებული კონსტიტუცია ჯობდა ამ ახალ ვარიანტს?***

– თალაკვაძე სრულ სისულელეს ამბობს, რადგან 2010 წელს მიღებული კონსტიტუცია 2017 წლამდე მუშაობს მშვენივრად. სწორედ ამ კონსტიტუციით მივიღეთ ძალიან ბევრი რაღაც.

## ილია მეორე: „სამწუხაროა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მტკივნეულად შეეხო ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველებსაც და მათი განაწყენება გამოიწვია“

– დღეს რთული დროა, მრავალთა ინტერესი იკვეთება ჩვენს პატარა სამშობლოსთან მიმართებაში, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის მიმართვაშია ნათქვამი. უწმინდესის მიმართვას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– სამწუხაროა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მტკივნეულად შეეხო ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველებსაც და მათი განაწყენება გამოიწვია.

ლაზებო, ფერეიდნელებო, ტაოკლარჯელნო, ჰერნო, საქართველოს ავბედობის გამო სამშობლოს მოწყვეტილნო საყვარელო ჩვენო ყოველნო შვილნო, არ დაგაბრკოლოთ ზოგიერთთა ზიანის მომტანმა ქმედებებმა; დრო გავა და, იმედი გვაქვს, ისინიც შეინანებენ თავის საქციელს; თქვენ კი გახსოვდეთ: საქართველოს და საქართველოს ეკლესიას უყვარხართ, სადაც არ უნდა იყოთ, თავისად მიაჩნიხართ, გული დიდად შესტკივა თქვენზე და ყოველთვის



ეყოლებით მფარველობის ქვეშ.

დღეს რთული დროა, მრავალთა ინტერესი იკვეთება ჩვენს პატარა სამშობლოსთან მიმართებაში; პრობლემების უმრავლესობაც აქედან მოდის, მაგრამ ღმერთი დიდია და იგი თქვენც და ჩვენც მოგვცემს ძალას დაბრკოლებების გადასალახავად.

თქვენ ყველას და სრულიად საქართველოს გულითადად გილოცავთ ღვთისმშობლის შობის დღეს; ყოვლადწმინდა მარიამის მფარველობა არ მოგაკლდეთ მისი წილხვედრი ქვეყნის შვილებს.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია მეორე, – ნათქვამია მიმართვაში.

## ოპოზიცია ეკონომიკურ დანაშაულზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზღვრის 500 ათასამდე გაზრდას ითხოვს

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ 500.000 ლარის ოდენობით გადასახადის თავიდან არიდებისთვის უნდა განისაზღვროს, – ადმინისტრაციული წესით სანქცირებადი კატეგორიის 100.000-დან 500.000 -მდე გაზრდას, ასევე დღგ-ით დაუბეგრავი ბაზის გაფართოებას, 100.000-დან 200.000 ლარამდე ბრუნვის კომპანიებისთვის დაწესებას ითვალისწინებს ნაციონალური მოძრაობის 7 კანონპროექტიანი პაკეტი, რომელიც რომან გოცირიძემ წარადგინა.

ცვლილებებით მიკრობიზნესის ოპერატორების ბაზაც ფართოვდება, 30.000 ლარის ნაცვლად წლიური 90.000 ლარის ბრუნვით უნდა კვალიფიცირდეს.

300 ლარიდან 1.000-ლარამდე უნდა გაიზარდოს საფოსტო გზავნილების დაუბეგრავი კატეგორია.

2-წლიანი შეზღუდვა უნდა მოიხსნას ბინის მფლობელისთვის. გოცირიძეს მიაჩნია, რომ მყიდველმა, როცა მოუნდება, მაშინ უნდა გაყიდოს ბინა. ასევე პაკეტი, გოცირიძის განცხადებით, მცირე ბიზნესის ხელშეწყობით, ეკონომიკის სტიმულირებას და ბიუჯეტის მოიმედე ადამიანების თავისუფალი ადამიანებით ჩანაცვლებას ითვალისწინებს.

ცვლილებებით ბიუჯეტის შემოსავლებს 25 მლნ დააკლდება.

## ზაქარია ქუცნაშვილის ბიზნესკომპანიას მისივე ბიუროს უფროსი ხელმძღვანელობს

პარლამენტის წევრ ზაქარია ქუცნაშვილის მეუღლის თეა სანიკიძის კუთვნილ შპს „ერწოს მარკეტის“ დირექტორად მაჟორიტარის ბიუროს უფროსი რუსუდან სისაური დაინიშნა. რუსუდან სისაური იმავე კომპანიაში 10% წილსაც ფლობს.

ზაქარია ქუცნაშვილი საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტში №38 მაჟორიტარული ოლქიდან იქნა არჩეული, რომელიც თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს მოიცავს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ზაქარია ქუცნაშვილის მეუღლემ თეა სანიკიძემ 2017 წლის 4 აპრილს დაარეგისტრირა შპს „ერწოს მარკეტი“, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს საცალო და საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს.

კომპანიაში კაპიტალის 90%-ს თეა სანიკიძე ფლობს, დანარჩენი 10%



კი მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსის რუსუდან სისაურის მფლობელობაშია, რომელსაც იმავე კომპანიის დირექტორის პოზიციაც უკავია.

რუსუდან სისაური ზაქარია ქუცნაშვილის მაჟორიტარული ბიუროს ხელმძღვანელი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა. პარლამენტის 2016 წლის არჩევნების შემდეგი კი იმავე თანამდებობაზე ხელახლა დაინიშნა.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზაქარია ქუცნაშვილის მეუღლე მხოლოდ ერთი საწარმოს – შპს „ნიტა პროქიურმენტ გრუპის“ მეწილე და დირექტორი იყო, თუმცა მიმდინარე წლის განმავლობაში მან კიდევ 3 კომპანია დააფუძნა – ჯერ შპს „ერწოს მარკეტი“, ხოლო აგვისტოში – შპს „მთის ფარმა“ და შპს „იუნიფიშ გე“.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თვითონ ზაქარია ქუცნაშვილი თიანეთში მდებარე რესტორან „ერწოს იდილია“-ში 70% წილის მფლობელია, თუმცა აღნიშნული გარემოება საჯარო რეესტრის ჩანაწერებში არ ფიქსირდება.

რეგინფო.გე

## სიკვდილიანობა აღემატება შობადობას — რაჭა-ლეჩხუმში 202 %-ით, მთიანეთში — 52 %-ით, გურიაში — 61 %-ით

2017 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში გარდაიცვალა 345 ადამიანი, დაიბადა მხოლოდ 114. ექვს თვეში გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა რაოდენობაზე 202 %-ით მეტია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, ოთხივე რაიონში ერთად, თვეში 19 ბავშვი იბადება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის პირველ ნახევარში მცხეთა-მთიანეთში გარდაიცვალა 705 ადამიანი, დაიბადა 464 (სხვაობა 52%). გურიაში გარდაიცვალა 929 ადამიანი, ცოცხლად დაიბადა 577 (სხვაობა 61%).

იმერეთში 4.700 ადამიანი გარდაიცვალა, რაც 40 %-ით მეტია დაბადებულებზე (3.352); სამეგრელო-ზემო სვანეთში გარდაიცვალა 2.569 ადამიანი, რაც დაბადებულებზე



36%-ით მეტია (1.889); კახეთში 2.402 ადამიანი გარდაიცვალა, რაც დაბადებულებს 28%-ით აღემატება (1.874); შიდა ქართლი 1.781 გარდაცვლილია რეგისტრირებული, რაც დაბადებულებზე 12%-ით მეტია (1.588); სამცხე-ჯავახეთში გარდაცვლილთა რაოდენობა 7 %-ით მეტია (917) დაბადებულებზე (855).

დაბადებულთა რაოდენობა გარდაცვლილთა რაოდენობას მხოლოდ თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლში აღემატება. 2017 წლის ექვს თვეში თბილისში დაიბადა 9.435 ბავშვი, გარდაიცვალა 7.117 ადამიანი (სხვაობა 24%); აჭარაში ცოცხლად დაიბადა 2.714 ბავშვი, გარდაიცვალა 2.144 ადამიანი (სხვაობა 21%); ქვემო ქართლში დაიბადა 2.681 ბავშვი, გარდაიცვალა 2.345 ადამიანი (სხვაობა 12%).

2017 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით საქართველოში სულ 25.543 ადამიანი დაიბადა, 25.954 კი გარდაიცვალა.

საქსტატის მონაცემებით, 2017 წლის 1-ელი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 3.718.200 ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის, 2.128.600 ადამიანი საქალაქო ტიპის დასახლებებში, 1.589.600 კი სასოფლო დასახლებებში.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებით, რეგიონებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება, 2002 წლის აღწერასთან შედარებით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა (37%) და სამეგრელო-ზემო სვანეთშია (29 %), ხოლო ყველაზე ნაკლები – აჭარაში (10 %). მთისამბები.გე

# „ბათუმში ნაციონალები ბრუნდებიან „ქართული ოცნების“ სახელით“

## ჯუმბერ თავართქილაძე: „ჩვენ მიგვანიშნეს, საჭირო აღარ ხართო“

გულიკო ბალაძე

საქართველოს ერთიანობის კავშირის თავმჯდომარე, ყოფილი ხალხის პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე იმ პოლიტიკური პროცესებით უკმაყოფილოა, რომლებიც მიმდინარეობს ქვეყანაში და „ახალ თაობასთან“ მისი უკმაყოფილების მიზეზებზე საუბრობს.

***– ბატონო ჯუმბერ, თქვენი ფეისბუქპოსტი წავიკითხე. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდით. რა ხდება ბათუმში, პოლიტიკური პროცესები როგორ მიმდინარეობს?***

– პრაქტიკულად, ბათუმში პოლიტიკური ქაობია. ნაციონალური მოძრაობა შეფარულად ბრუნდება ხელისუფლებაში.

***– ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში შეფარულად როგორ ბრუნდება?***

– თუ გადავხედავთ დღევანდელ კადრებს, ზემო აჭარაში მათ სიებს და მაჟორიტარ კანდიდატებს მიმდინარე ადგილობრივ არჩევნებზე, დავინახავთ, რომ მათი 80% ნაცმოძრაობის ყოფილი წევრებია.

დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, ნაცმოძრაობა ისევ ხელისუფლებაში მოიყვანოს „ქართული ოცნების“ სახელით.

***– როგორ შეძლეს ნაციონალებმა „ოცნების“ პარტიულ არეალში შეღწევა?***

– „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ნაცმოძრაობის ბობოლებმა კარგად მოახერხეს „ოცნების“ მიმხრობა.

***– როგორ?***

– თავის ბიზნესწილებში ჩასვეს „ოცნების“ წარმომადგენლები.

***– ეს როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო?***

– 2012 წელს, როცა ხელისუფლება არჩევნების საშუალებით შეიცვალა, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა და ფულის ტომრებმა სრულიად იოლად გამონახეს „ოცნების“ ლიდერთა რიგებში ფულს დახარბებული ადამიანები. მათ მფარველობის სანაცვლოდ, ბიზნესწილები ნაწილობრივ გადაუფორმეს და ბიზნესპარტნიორები გახადეს. სწორედ მათი მეშვეობით, ანუ ბიზნესპარტნიორების დახმარებით, „ოცნებაში“ ნაციონალური მოძრაობის საშუალო და დაბალი რგოლის კადრების პორტირება დაიწყო.

***– ამ არჩევნებზე რა ხდება?***

– დღესაც სახეზეა იგივე სიტუაცია. ამჟამადაც ასეა. ეს გამოჩნდა წინა არჩევნებზე. მეტსაც გეტყვით, „ქართული ოცნება“ აჭარის რეგიონში კადრების თვალსაზრისით იმაზე მეტს კადრულობს, ვიდრე სააკაშვილი.

***– თუ ნაციონალები არიან „ოცნებაში“, ახლა ის ნაციონალები, ცხადია, ამ ამპლუაში უფრო მეტს იკადრებენ, ვიდრე უწინ, რადგან წინა უმსგავსობაზე პასუხი არ აგებინეს.***

– პრაქტიკულად, 2012 წლის შემდეგ, მხოლოდ ფასადური ცვლილება მოხდა და ახლა სურთ, „ოცნების“ დროშებით და დროშის ქვეშ მოავლინონ ნაცმოძრაობა. როცა სააკაშვილის ოპოზიციაში გადავედი 2004 წლის 1 აგვისტოს და დავიწყე სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინც ჩვენ გვავიწროვებდა იმდროინდელი ძალოვნების სახით, ახლა პოლიტიკოსებად მოგვევლინენ. მათით არიან დაკომპლექტებული. ის კადრები არიან და ისინი ჩადიან უმსგავსობებს, რომ ხალხს ნაციონალური მოძრაობის ნოსტალგია გაუჩნდეს. მათ ჩასაფრებული პოზიცია უკავიათ.

აქედან გამომდინარე, სრული უფლება მაქვს ვიფიქრო, რომ ბიძინა ივანიშვილი თავიდანვე გარიგებული იყო სააკაშვილთან და სხვებთან (ვგულისხმობ ევროპა ამერიკასთან), რომ ხალხის დასაშოშმინებლად მოხდებოდა ხელისუფლების ფასადური ცვლილება.

***– ახლა სააკაშვილის აქტიურობას რომ ვუყურებთ, რას აკეთებს უცხო ქვეყანაში, სააკაშვილი მაგას დათანხმდებოდა?***

– სააკაშვილი ძალიან მშიშარა ადამიანია. ის ამერიკის, ცერეუს, რუსეთისა და კაგებეს ერთობლივი პროექტია. ის გახლავთ ორმაგი აგენტი.

***– ბიძინა ივანიშვილმა შეცვალა ის რეჟიმი, დანარჩენი სხვებმა უნდა გააკეთონ.***

– პირდაპირ და ღიად გეტყვით, დღეს საქართველოში ყველა პარტიას, ნაციონალების ჩათვლით, ბიძინა მართავს. ახლა ვხედავთ, სააკაშვილი უკრაინაში როგორ გონორზეა. შემთხვევითი არც ისაა, რომ მან კიევში 17 ოქტომბერს დანიშნა მიტინგი.



***– ცხადია, გონორზეა.***

– ამით მისი მხარდამჭერების მობილიზაციას ახდენს საქართველოში. სააკაშვილი რუსეთის დავალებების ყველაზე კარგი შემსრულებელია. დააკვირდით, რომელ რეგიონებში ჩადის მის მომხრეებთან შესახვედრად. იქ, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობაა და რუსეთის ინტერესების ქვეშაა.

***– დიახ, აგენტურა ყველგან მოქმედებს, რა გასაკვირია? არ ჯობს, „ოცნების“ გარეშე შეეცადოთ ნორმალური პოლიტიკოსების მობილიზებას?***

– ამ თემაზე ვფიქრობ. არჩევნების მეორე დღიდან უნდა დავიწყოთ გააქტიურება, რათა ქვეყანა გადავარჩინოთ. ქვეყანა უფსკრულის პირასაა.

***– ბიძინა ივანიშვილმა შეცვალა სააკაშვილის რეჟიმი, დანარჩენი სხვებმა უნდა გააკეთონ. სამწუხაროდ, თქვენნაირი ოპოზიცია პირველი ოპოზიციური ძალის, ანუ მეორე პარტიის ადგილსაც ვერ იკავებს.***

– ბიძინა ივანიშვილს არ შეუცვლია სააკაშვილის ხელისუფლება, პირველ რიგში, შეცვალეს იმ პატრიოტებმა, ვინც ჩვენთან ერთად იბრძოდა დღენიადაგ, ანუ მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხის იმ ნაწილმა, რომელიც არასოდეს ყიდდა სინდის– ნამუსს.

7 ნოემბერს სააკაშვილმა ჩვენი სისხლი რომ დაღვარა, კობა დავითაშვილი ცემით მოკლა სააკაშვილმა, მაშინ ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს აფინანსებდა, რომ კარგად გაველახეთ. როცა ხელისუფლება შეიცვალა, პირველ რიგში, ის ხალხი ჩამოიცილა თავიდან, ვინც სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა. მათ შორის, კობა დავითაშვილი, მე და კიდევ რამდენიმე ადამიანი, ვინც არ გავიყიდეთ.

***– ის მებრძოლი ძალა, რომელიც სააკაშვილს ებრძოდა, სად არის?***

– ამ ხალხს მიგვანიშნეს, საჭირო აღარ ხართ, იბრძოლეთ, მადლობა, ახლა ფულს ჩვენ ვიშოვით ხელისუფლებაში ყოფნისასო და კი შოულობენ. ჩვენ ამ ყველაფერს გულისტკივილით შევყურებთ, თუ როგორ ანგრევენ ქვეყანას. ამიტომ დროა, ვიფიქროთ ეროვნულ ღირებულებებზე, პრინციპებზე დაფუძნებული ძალის ჩამოყალიბებაზე.

***– სააკაშვილის ხელისუფლება, ცხადია, ხალხმა შეცვალა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით.***

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა კოალიციაში შეიყვანა ის პარტიები, ვინც ორ სკამზე ისხდნენ, რესპუბლიკელების მეთაურობით, რომელთა თვითმიზანი იყო ნაცმოძრაობის გადარჩენა და ამას ღიად, საჯაროდ აცხადებდნენ უსუფაშვილი და ლევან ბერძენიშვილი.

***– ახლა სად არიან უსუფაშვილი და რესპუბლიკელები ვერ ხედავთ? ჩამოიცილა. მაშინ, როგორც ჩანს, დასავლეთის მისამხრობად სჭირდებოდათ.***

– არ ვიცი, მაგრამ პოლიტიკურ ჯანდაბამდე წასულან. ერთს დავამატებ – თითოეულმა პატრიოტმა ქართველმა, სულით მებრძოლმა, უნდა დაივიწყოს ლიდერობის ამბიციები, პირველობის ამბიციები და პრინციპების, ღირებულებისა და იდეების ირგვლივ უნდა გაერთიანდეს.

***– თქვენ რომელიმე პარტიიდან კენჭს იყრით?***

– მე ამ არჩევნებზე დამკვირვებელი ვარ, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე.

## სალომე სამადაშვილი: „ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ქვეყანას პოლიტიკურ კრიზისში შეიყვანს“



– ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ქვეყანას პოლიტიკურ კრიზისში შეიყვანს, – ამის შესახებ ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტის სხდომაზე ნაციონალური მოძრაობის წევრმა სალომე სამადაშვილმა განაცხადა.

მისივე განცხადებით, ეს ცვლილებები უკან დახევს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობასაც.

– პარლამენტის თავმჯდომარემ ძალიან ვარდისფერი სურათი დახატა. „ქართული ოცნების“ გარდა არავის სჯერა, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები სხვა მიზანს ემსახურება, გარდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებისა. ეს ცვლილებები ქვეყანას პოლიტიკურ კრიზისში შეიყვანს.

უკან დახევს ევროკავშირთან ურთიერთობას. პარლამენტის თავმჯდომარემ მძიმე წარსულზე ისაუბრა, თუმცა ქართული დემოკრატიისთვის სევდიანი დღეა, რადგან ხელისუფლებას არ სურს ისწავლოს მძიმე წარსულიდან. სამწუხაროდ, ის პროცესი, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარემ აღწერა, არ წარმოადგენს რეალობას. პროექტის მომზადებისას არცერთი ჩვენი შენიშვნა არ გათვალისწინებულა, – განაცხადა სამადაშვილმა.

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ „საქართველოს ექნება ძალიან კარგი კონსტიტუცია“.

## „სააკაშვილი თუ ნორმალურია, ციხეში უნდა იჯდეს, თუ შეშლილია – ფსიქიატრიულში“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

***– ბოლო დღეებში აქამდე მშვიდად მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის რადიკალიზაცია ხდება. „ქართუ ბანკთან“ ნაციონალები მივიდნენ, პატრიოტთა ალიანსმა კი წამოიწყო საპროტესტო გამოსვლების სერია შიმშილობის თანხლებით. რაზე მიანიშნებს ეს პროცესები?***

– საქართველოში დემოკრატიაა, პოლიტიკურ პარტიებს აქვთ მოქმედებების და გამოხატვის თავისუფლება. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. პოლიტიკური ძალები ამით სარგებლობენ და აქტიურობენ. მთავარია, პროტესტმა არ მიიღოს ის ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. ოპოზიცია, როგორც წესი, ყველაფერზე პასუხისმგებლობას აკისრებს ხელისუფლებას. ხელისუფლებას დიდი ტვირთი აწევს, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ პასუხისმგებლები ყველაფერზე ვართ ჩვენ ყველანი. ეს ხელისუფლება საზოგადოების არჩეულია, ამიტომ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც პასუხს ვაგებთ.

ვერც ოპოზიცია გაექცევა პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ანტისახელმწიფოებრივად მოქმედებს. ქუჩის პროტესტში არაფერი განსაკუთრებული არ არის. ეს დამახასიათებელია თითქმის ყველა სახელმწიფოსათვის. ჩვენი განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ჩვენ სხვა პრობლემები გვაქვს და საქართველოში სერიოზული საპროტესტო აქციები სხვა კონტექსტს იძენს. ისეთ ვითარებაში ვცხოვრობთ, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრიობა ბეწვზე ჰკიდია.

***– ადრეც გითქვამთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა საფრთხეშია.***

– საფრთხე რეალურია. ჩვენ გვაქვს ტერიტორიული პრობლემები, ოკუპირებული ტერიტორიები. ჩანს იმის მცდელობა, რომ ეს კონფლიქტები მოუგვარებელთა კატეგორიაში გადავიდეს. ასეთ მოუგვარებელ პრობლემებს შორისაა ისრაელ-პალესტინის, ბალკანეთის კონფლიქტები, რუსეთ-იაპონიის დაპირისპირება კურილიის კუნძულების გამო. ახლანდელ რეალობაში უნდათ, რომ ასეთების სიაში შევიდეს ჩვენი კონფლიქტები და ყირიმის საკითხი.

ამ დროს დესტაბილიზაცია უფრო მეტად საშიში ხდება. ამაზე ვსაუბრობ, თორემ, ქუჩაში აქტიურობა ყველას შეუძლია. ერთი რამეც იკვეთება, ხალხს არ მოსწონს მიუღებელი და დამნაშავე პოლიტიკური ძალების გათეთრება. ბევრი ადამიანი არ შეეგუება იმას, რომ ხალხის ძარცვა-წამებასთან გაიგივებული ნაციონალური მოძრაობა არ ისჯება და სხვებს ემუქრება. ჩნდება კითხვა, რატომ არ დაისაჯნენ ნაცმოძრაობის ის ლიდერები და წევრები, რომლებიც კანონით დასასჯელი იყვნენ?!

***– მათ შორის, სააკაშვილი?***

– რასაკვირველია. სააკაშვილს არაერთი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. დღეს მის გადაადგილებას უკრაინაში დეტალურად აშუქებენ საქართველოში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი ტელევიზია რუსთავი 2. სააკაშვილის აქტიურობა დღეს უკრაინაში ჰაერივით სჭირდება რუსეთს. სააკაშვილი რუსეთის ტროას ცხენია. უკრაინაში სააკაშვილის მონაწილეობით ჩაფიქრებულია იმავე სცენარის გამეორება, რომელშიც ექსპრეზიდენტს გამოცდილება აქვს. თვალს ვადევნებ უკრაინის ტელევიზიებს. იქ სააკაშვილის რუსეთთან კავშირზე საფუძვლიანი მსჯელობა მიდის. სააკაშვილი უკრაინაში გარკვეული მოვლენებისთვის სჭირდებათ.

***– საქართველოში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მისი წარმატება უკრაინაში საქართველოზე აისახება. თუმცა, საეჭვოა, ამ ფაქტორმა სააკაშვილს მომხრეების რაოდენობა გაუზარდოს.***

– რა თქმა უნდა. ვინც იყო სააკაშვილის მომხრე, ის დარჩება. ახალი მიმდევრები როგორ უნდა გაუჩნდეს? თუ დაზარალებული ხალხი მიემხრობა? ნაცმოძრაობას საქართველოშიც ძალიან უნდა ახალი რევოლუცია, მაგრამ ამას ვერ ეღირსება. მენტალურადაც ქართველი ხალხი ისეთია, რომ ამას არ დაუშვებს.

სააკაშვილი ჩავლილი ამბავია. მისი წარმატებები და აქტივობა ძალიან გაზვიადებულია. მისგან გმირს რუსთავი 2 ქმნის. სამწუხარო ისაა, რომ დასასჯელი ნაციონალები აქციებს აწყობენ



და მათზე კანონი არ ვრცელდება. იმ პატიმრებს, რომლებიც სასჯელს იხდიან, მათზე უარესი დანაშაული არ ჩაუდენიათ. მაშინ, გამოაცხადოს სახელმწიფომ სრული ამნისტია და ყველა გამოუშვას! არ შეიძლება, დაუსჯელი იყო იმის გამო, რომ ნაცმოძრაობაში ან „ევროპულ საქართველოში“ ხარ.

***– სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემის მისწრაფება ამ ხელისუფლებას არასდროს ემჩნეოდა.***

– ერთი მხრივ, მისი ციხეში რჩენა მძიმე იქნებოდა. სააკაშვილს ისეთი მადა აქვს, მისი გამოკვების პრობლემა შეიქმნებოდა. ამას ხუმრობით ვამბობ. რეალობა კი ასეთია, თუ ეს კაცი ნორმალურია, მაშინ ციხეში უნდა იყოს, თუ შეშლილი – ფსიქიატრიულ კლინიკაში.

# დავით ჭიჭინაძე: „საბანკო სფერო სხვა ბიზნესიდან საერთოდ უნდა გავიდეს“



დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი დავით ჭიჭინაძე კომერციული ბანკების აქციონერებისთვის არაპროფილური საქმიანობის შეზღუდვას ითხოვს. აღნიშნული ინიციატივით დეპუტატი კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა, სადაც „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილეს.

როგორც ჭიჭინაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, მისი ინიციატივის მიზანი არის ის, რომ საბანკო სფერო სხვა ბიზნესიდან საერთოდ გავიდეს.

– მაქსიმალურად ვცდილობთ, საბანკო სფერო სხვა ბიზნესიდან გავიდეს, რომ ბიზნესს მიეცეს თავისუფალი კონკურენტუნარიანი გარემოში მუშაობა და ფინანსები ადვილად ხელმისაწვდომი იყოს, ვიდრე დღეს არის.

ბანკები და ბანკის აქციონერები როცა თავად არიან დაინტერესებულები ბიზნესის განვითარებით, რა თქმა უნდა, კონკურენტებს იმის საშუალებას არ აძლევენ, რომ ხელმისაწვდომი სესხები აიღონ. ბანკებს საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში, კაპიტალის მოზიდვა შეუძლიათ. არსებული ფულის გარდა, ისიც შეუძლიათ, ფული ფაქტობრივად „ჰაერიდან“ წარმოქმნან. მაგალითად, დღეს ოთხი მილიარდია მოზიდული, 19 მილიარდის ოდენობის სესხია გაცემული. ასეთი რეალური ფული კი საქართველოში არ არსებობს. ამიტომაც ჩნდება კითხვა? საიდან არის ეს სესხები.

რადგანაც ასეთი შეღავათები აქვთ თავიანთი ბიზნესის წარმოებაში და იქიდან შოულობენ ამ შემოსავლებს, ბიზნესში არსებულ თამაშის წესებს ვერ დაიცავენ. ბიზნესს ხელი უნდა შევუწყოთ, რომ მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი გარემო იყოს, – აღნიშნა ჭიჭინაძემ.

ჭიჭინაძის თქმით, თუ ეროვნული ბანკი სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალისწინებს, კანონპროექტს დეპუტატები მხარს დაუჭერენ.

– ჩვენ ასეთი დათქმა გვაქვს, თუ ეროვნული ბანკი გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებს და არაპროფილური საქმიანობის აღკვეთა მოხდება არა ფორმალურად, არამედ რეალურად, ჩვენი კომიტეტი კანონპროექტზე განხილვების გაგრძელებას მხარს დაუჭერს. ჩვენ გვინდა, რომ ამ კანონმა მართლა იმუშაოს, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

მისივე თქმით, აქციონერებისთვის აღნიშნული შეზღუდვა პრობლემას არ შექმნის, რადგან ჯობს, თანხები თავისივე საბანკო სფეროში დატოვონ. აქციონერი და ბანკი კი ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს.

– რომ ამბობენ, აქ თუ ავუკრძალავთ, აქციონერები სადღაც წაიღებენ ფულს და საქართველოში არ დახარჯავენო, ეს არასწორია.

ევროპის ქვეყნებმა თავისი ფული სად წაიღონ, არ იციან. ამიტომ აქციონერებმა ჯობს თავის საბანკო სფეროში დატოვონ ფული, ეს დააკრედიტონ და არა რომელიმე კონკრეტული ბიზნესი. აქციონერი იქნება თუ ბანკი, ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის. პრაქტიკულად, ჩვენთან ყველა აქციონერი არის ბანკირი. სამეწარმეო რეესტრში რომ შეხვიდეთ, ნახავთ, რომ ერთდროულად ბანკის დამფუძნებლებიც არიან და ბიზნესის მფლობელებიც, – აღნიშნა ჭიჭინაძემ.

დავით ჭიჭინაძის განცხადებით, მის ინიციატივას, ბიზნესის წარმომადგენლები მხარს უჭერენ, მათ შორის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრების უმრავლესობა და ოპოზიციაც.

# იანვარ-აგვისტოში თხილის ექსპორტი 54.1 მილიონი დოლარით შემცირდა



მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თხილის ექსპორტი შემცირებულია.

„საქსტატის“ მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში თხილისა და კაკლის ექსპორტი 54.1 მილიონი დოლარით არის შემცირებული.

მიმდინარე წლის 1-ელ 8 თვეში თხილის ექსპორტმა 36.5 მილიონი დოლარი შეადგინა მაშინ, როცა 2016 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 90.6 მილიონი იყო.

აღსანიშნავია, რომ თხილის ექსპორტის შემცირებაზე რამდენიმე დღის წინ სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილიც საუბრობდა. თუმცა, მისი თქმით, თხილის კატასტროფულად ცუდი მოსავლის მიზეზი აზიური ფაროსანა არ არის.



– თხილის კულტურაში ჩვენ პრობლემები სულ სხვა მიზეზების გამო გვაქვს და არა იმის გამო, რომ აზიურმა ფაროსანამ გაანადგურა. მისი წვლილი ზარალში 8-10% შეიძლება იყოს. ჩვენ დღეს გვაქვს კატასტროფულად ცუდი მოსავალი თხილთან დაკავშირებით იმიტომ, რომ გვქონდა ბევრი სხვა მომენტი, რომელიც ვერ შევასრულეთ ან კლიმატის გამო ახალი პრობლემები გაჩნდა და თხილის მოსავალი ვერ მივიღეთ, – აცხადებდა მინისტრი.

# სახელმწიფო 70% იმპორტირებულ სურსათს ყიდულობს



სახელმწიფო სურსათის შესაძენად წელიწადში 150 მილიონ ლარს ხარჯავს.

ამის შესახებ გადაცემა „საქმეში“ ოქსფამის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის მენეჯერმა ლევან დადიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, თანხის დიდი ნაწილი იმპორტირებული საქონლის შეძენას ხმარდება.

– ჩვენ მოვიკვლიეთ და აღმოვაჩინეთ, რომ სახელმწიფო წელიწადში 150 მილიონი ლარის ღირებულების სურსათს ყიდულობს ჯარისთვის, პენიტენციური სისტემისთვის, ჯანდაცვისა და განათლების სისტემებისთვის. აქედან 70% იმპორტირებულია, – განაცხადა ლევან დადიანმა.

მისივე განცხადებით, მეორე მხრივ, თავად სატენდერო პროცედურები ისეთი მოდალობისაა, რომ ადგილობრივ მეწარმეს არ აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს ტენდერში.

– ამდენად, ჩვენი რეკომენდაციები ეხება ძირითადად თავად შესყიდვების პროცედურების სრულყოფას, რათა ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვა მოხდეს, – აღნიშნა ოქსფამის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის მენეჯერმა.

იგივე პრობლემაზე გადაცემა „საქმეში“ რამდენიმე დღის წინ მწარმოებელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ლევან სილაგავამაც ისაუბრა.

– სახელმწიფო შესყიდვებში, ადგილობრივ წარმოებას, სამწუხაროდ, დიდი წილი არ უკავია. თანხის დიდი ნაწილი ქვეყნის გარეთ გაედინება და ასაქმებს იმ ქვეყნის მოქალაქეებსა და მუშახელს, სადაც ეს ხორციელდება. ეს კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა მან.

თავდაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ გადაწყვიტა, რომ ქართული ჯარი მთლიანად იმპორტირებული ხორცითა და სურსათით მოემარაგებინა. ამის მიზეზად თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი ბუთხუზმა უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა დაასახელა. მისივე თქმით, ჯარისთვის იმპორტირებული ხორცის მიწოდებას მანამდე არსებული ნორმებიც არ გამორიცხავდა.

სახელმწიფო შესყიდვებში წელიწადში ჯამში 4 მილიარდი ლარი იხარჯება.

# ექსპორტზე 4.2 მილიონი დოლარის ატამი გაიყიდა



მიმდინარე წლის ატმის სეზონი დასრულებულია. ქვეყნიდან ექსპორტირებული ატმის რაოდენობამ 10.8 ათასი ტონა შეადგინა, რაც 88 %-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

2017 წლის სეზონზე ექსპორტირებული ატმის საერთო ღირებულებამ 4.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2017 წელს ატმის ექსპორტი, 2016 წლის სეზონთან შედარებით, მკვეთრად გაზრდილია. 2016 წელს ექსპორტის მაჩვენებელი 5.8 ათას ტონას, ხოლო ექსპორტის მთლიანი ღირებულება 2.8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.

ატმის ექსპორტი, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში (81 %), აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (8 %), სომხეთის რესპუბლიკაში (6 %), ასევე უკრაინასა და ყაზახეთში განხორციელდა.

მიმდინარე წელს ატმის საბითუმო ფასი 20-დან 90 თეთრამდე მერყეობდა.

2017 წელს ატმის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ქ.გურჯაანში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფისში, ატმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, შექმნილი იყო ჯგუფი ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლების შემადგენლობით. აღნიშნული ჯგუფი „ერთი ფანჯრის“ პრინციპით უზრუნველყოფდა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას და გაცემას.

# მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აგრობიზნესის მთლიანმა გამოშვებამ 4 მლრდ ლარი შეადგინა

2017 წლის პირველ ნახევარში აგრობიზნესის მთლიანი გამოშვება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 8%-ით აღემატება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება შეადგენს 1.9 მლრდ ლარს, რაც 7%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. გამოშვებული პროდუქციის ძირითადი წილი მეცხოველეობის სექტორზე მოდის.

საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 8%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ცხვრისა და ღორის სულადობები კი გაზრდილია, შესაბამისად, 5%-ით და 10%-ით. აღსანიშნავია, რომ საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, მეცხოველეობის სექტორის ზრდაში იგულისხმება პირუტყვის და ფრინველის სულადობის ნამატი (და არა სულადობის აბსოლუტური მაჩვენებელი) აღნიშნულ პერიოდში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მომავალში მეცხოველეობის პროდუქტების (ხორცი, რძე, კვერცხი) წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის შემცირება გამოწვეულია ცოცხალი პირუტყვის ექსპორტის მაღალი მაჩვენებლით, თუმცა, ნამატის ხარჯზე სექტორი მაინც იზრდება, რაც მომავალში დადებითი ტენდენციის საფუძველს იძლევა.



სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეადგენს 2.3 მლრდ ლარს, რაც 9%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. გადამამუშავებელ სექტორში მნიშვნელოვანი პოზიციები უჭირავს მარცვლეულის და რძის გადამუშავებას, ასევე, ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას.

სექტორის ზრდა ძირითადად გამოწვეულია ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების გაზრდილი მაჩვენებლით, რისი გამოშვებაც საანგარიშო პერიოდში 409 მლნ ლარს შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 33%-ით არის გაზრდილი, ასევე ზრდა გვაქვს რძის პროდუქტების წარმოებაში, რომლის ღირებულებაც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 395 მლნ ლარს შეადგენს და 11%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

# გიორგი გახარია: „ჩვენს ექსპორტში ჩინეთის ბაზრის წილი მნიშვნელოვნად იზრდება“



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში შანხაის ვიცე-მერს, ჭოუ ბოს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და ჩინეთთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ისაუბრეს. გიორგი გახარიამ და შანხაის ვიცე-მერმა ასევე თბილისში ნოემბერში დაგეგმილი აბრეშუმის გზის ფორუმის მოსამზადებელი საკითხები განიხილეს.

– ჩინეთის მხრიდან საკმაოდ დიდი ინტერესია, განსაკუთრებით რამდენიმე დღის წინ უმსხვილეს კომპანია CEFC-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ.

ჩვენ შანხაიში თავისუფალი ვაჭრობის ზონა დავათვალიერეთ, რომელიც ძალზე შთამბეჭდავი იყო და ვფიქრობთ, რომ მათი გამოცდილება ჩვენთვის ძალიან მისაღებია. ჩინეთის მზარდი ბაზარი ჩვენს ექსპორტში, მათი შემადგენელი ნაწილი იზრდება და უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო.

ვფიქრობ, რომ ასეთი გაცვლითი შეხვედრები, რა დროსაც, როგორც დღეს გადავწყვიტეთ, იქმნება კონკრეტული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ციფრებზე იმსჯელებენ, რაც ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

შეხვედრას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი დავით აფციაური ესწრებოდნენ.

# ქობულეთში დაკავებული პოლიციელი სასამართლომ გაათავისუფლა



ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ვიოლეტა ფორჩხიძის გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა არჩილ დევრიშაძემ საპატიმრო დატოვა.

აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით დაცვის მხარემ სასამართლოს დღეს მიმართა. არჩილ დევრიშაძეს სახდელის სახით 10 ათასი ლარის ოდენობის გირაოს გადახდა დაეკისრა.

სხდომაზე ბრალდებულმა არჩილ დევრიშაძემ განაცხადა, რომ წაყენებულ ბრალს არ აღიარებს.

პროკურატურა დაკავებულს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში სდებს ბრალს.

საქმე ეხება 21 ივლისს ქობულეთში, რუსთაველის პირველ შესახვევში მომხდარ შემთხვევას. თვითმხილველების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა 25 წლის მამაკაცს ესროლა. შსს-ს თანამშრომელი მომხდარის გამო დააკავეს.

# თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული მობილური ტელეფონები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის, გ.თ-ს კუთვნილი ხელბარგის სკანერით დათვალიერების შედეგად, 16 ცალი არადეკლარირებული მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქონლის საბაჟო ღირებულებამ 6 757 ლარი შეადგინა.

მათივე ცნობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 6,757 ლარის ოდენობით შეეფარდა.

# „ციანიდის საქმეზე" გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილი ცნობილია



ე.წ. ციანიდის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილი ცნობილია. 64-გვერდიან დოკუმენტს მსჯავრდებული დეკანოზის ადვოკატები უკვე გაეცნენ.

როგორც „ნიუპოსტს" ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილს მის მიერ გამოტანილი განაჩენი დასაბუთებული არ აქვს.

მისი თქმით, მოსამართლე ბრალდების მხარის პოზიციებს ეყრდნობა და დოკუმენტში საბრალდებო მუხლის გადაკვალიფიცირების გარდა, არაფერია შეცვლილი.

– ეს არის პროკურატურის პოზიციის კოპირება. ზუსტად იმ მეთოდებით, რასაც პროკურატურა მთელი ამ თვეების განმავლობაში აკეთებდა. რაღაც კონტექსტიდან ამოგლეჯილ ინფორმაციებს და ვიდეოებს ავრცელებდა. მოსამართლე სწორედ ამ აბსურდულ მტკიცებულებებს დაეყრდნო. ნორმალური სასამართლოს პირობებში არა თუ გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ გამამართლებელი განაჩენი უნდა დამდგარიყო. ყველაზე უცნაური ის არის, რომ მოსამართლემ ეს მტკიცებულებები ე.წ. შურისძიების მოტივად ჩათვალა, მოტივაცია კი განაწყენება ყოფილა მოსამართლისთვის. განაწყენებაზე კი შურისძიება არ ხდება, – აღნიშნა მიხეილ რამიშვილმა.

დეკანოზ გიორგი მამალაძის დაცვის მხარე 5 სექტემბერს გამოცხადებულ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

# პატრულ-ინსპექტორზე თავდასხმისათვის ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ გივი ა.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებული 2017 წლის 17 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის და სახდელის სახით, სამართალდამრღვევს 5 დღე-ღამის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა განუსაზღვრა.

– სასამართლოს სხდომის დარბაზში, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი თავს დაესხა პატრულ-ინსპექტორს. ბრალდებულმა პოლიციის ლეიტენანტს მიაყენა როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, სახის არეში ორჯერ დაარტყა ხელი. იგი, ასევე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა სასამართლოს თანამშრომლებს და გამოხატავდა აგრესიას სამართალწარმოების პროცესში ჩართული ყველა პირის მიმართ. ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძვლები, კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემულ საქმეზე იქნა წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებულ მტკიცებულებათა სტანდარტს, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2017 წლის 31 ოქტომბერს, 13:00 საათზე გაიმართება.

# „ივანანას" საქმიანობაზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო



საქართველოს მთავარ პროკურატურაში ფონდ „ივანანას" ხელმძღვანელი პირების მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების შესაძლო მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

– საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება ფონდი ივანანას ხელმძღვანელი პირების მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების შესაძლო მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" ვიცე-პრეზიდენტის განცხადება, სადაც განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ფონდ „ივანანას" ხელმძღვანელი პირების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა საქველმოქმედო მიზნებისათვის მოპოვებული თანხების არამიზნობრივად ხარჯვასა და მართლსაწინააღმდეგო მითვისებას. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" და მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

საქმეზე ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. გამოძიების შედეგების შესახებ ეცნობება საზოგადოებას, – განუცხადეს „ნიუპოსტს" მთავარ პროკურატურაში.

# რატომ არ გაფორმდა პირველი ლედის ძმასთან საპროცესო შეთანხმება



საქართველოს მთავარი პროკურატურა პირველი ლედის მაკა ჩიჩუას ძმასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს და განმარტავს, თუ რატომ არ მოხდა მიხეილ მგალობლიშვილთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

– მიხეილ მგალობლიშვილი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით და თბილისის საქალაქო სასამართლომ იგი სრულად ცნო დამნაშავედ. შემდგომ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც. ამჟამად მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ არ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, საქმე მდგომარეობს შემდეგში, მ. მგალობლიშვილი წარსულში არაერთგზისაა ნასამართლევი, მათ შორის ისეთი ძალადობრივი დანაშაულისთვის, როგორიცაა განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

გარდა აღნიშნულისა, მიხეილ მგალობლიშვილი სასამართლო განხილვებისას აცხადებდა, რომ იარაღები იყო გარდაცვლილი მამის დანატოვარი და წარმოადგენდა რელიქვიას, თუმცა გამოძიებით დადგინდა, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა „BROWNNG"-ის კონსტრუქციის იარაღს ერთი მჭიდით და ერთი ვაზნით, ასევე თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა ქარხნული წესით დამზადებულ 7,65 მმ კალიბრის იარაღს -„BERETTA". ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ამოღებული იარაღები მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისთვის, ხოლო ამოღებული ვაზნა წარმოადგენს საბრძოლო მასალას და ვარგისია გამოსაყენებლად. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პროკურატურა ასეთ შემთხვევაში მიზანშეუწონლად მიიჩნევს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

საქართველოს პირველი ლედის მაკა ჩიჩუას ძმა მიხეილ მგალობლიშვილი 2017 წლის იანვარში დააკავეს, მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება ედებოდა. თუმცა დაკავებული აცხადებდა, რომ იარაღი რელიქვიას წარმოადგენდა და მის გარდაცვლილ მამას ეკუთვნოდა.

# ბექან გუნავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს



ადმინისტრაციული წესით დაკავებული ბექან გუნავას საქმის განხილვა 5 ოქტომბრამდე გადაიდო, იქამდე კი გუნავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

პროცესი დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო, რათა მათ საქმის მასალები გადაეცეთ და ასევე დამატებითი მტკიცებულებები მოიპოვონ.

როგორც ბექან გუნავამ განაცხადა, მისი დაკავება უკანონოდ მოხდა. ის, ასევე, პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებაზე საუბრობს.

– ჩემს დაკავებას წინ უძღოდა დარტყმა წელის არეში და სიტყვიერი შეურაცხყოფა. 100 მეტრი მათრიეს ხელბორკილდადებული. მომაყენეს დაზიანებები. ეს ყველაფერი დაფიქსირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩატარებული შემოწმებისას. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში აუცილებლად გავმართლდები, თუმცა ვიბრძოლებ იმისთვის, რომ დაისაჯონ ის პოლიციელები, რომლებმაც ჩემზე იძალადეს, – განაცხადა ბექან გუნავამ.

თავის მხრივ, გუნავას ადვოკატმა მამუკა ტუსკაძემ განაცხადა, რომ ისინი დღესვე მიმართავენ შსს-ს გენერალურ ინსპექციას, რათა დაიწყოს მოკვლევა ბექან გუნავას დაკავებისას ძალის გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით.

# „ბესო ცეცხლაძე სუს-ის თანამშრომელი არ არის"



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, რომ მოქალაქე ბესო ცეცხლაძე, რომელსაც საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის" წევრის მარიკა დათუკიშვილი ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს, მათი თანამშრომელი არ არის.

– მოქალაქე ბესო ცეცხლაძე სუს-ის თანამშრომელი არ არის, – უთხრეს „ნიუპოსტს" უწყებაში.

მარიკა დათუკიშვილის განცხადებით, „ბანკ ქართუსთან" გამართულ საპროტესტო აქციაზე მას ფიზიკური შეურაცხყოფა სუს-ის თანამშრომელმა, ბესო ცეცხლაძემ მიაყენა.

# შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი დააკავა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პარიზის ინტერპოლის მიერ 2017 წლის აგვისტოდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული ტ.ჩ. ბათუმში, კობალაძის ქუჩაზე დააკავეს.

ტ.ჩ.-ს ბრალი ედება საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 222-22, 222-23, 222-24, 227-22 და 227-23 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც ბავშვთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, პორნოგრაფიის გავრცელებასა და გაუპატიურებას გულისხმობს.ამჟამად, დაკავებული პირის მიმართ, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები ხორციელდება.

# დავით ხარშილაძე: „აუცილებლად მოვითხოვ ჩამდები პოლიციელების დასჯას"



ჟურნალისტ ელისო კილაძის შვილმა დავით ხარშილაძემ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ „ჩამდები პოლიციელების" დასჯას აუცილებლად მოითხოვს.

– ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ უკვე ხელისუფლებიდან წასული ჯგუფის ბინძური პროვოკაცია აღკვეთილი იქნა სასამართლოს მიერ და ამისთვის მადლობა სასამართლოს. ვაპირებ სამართლებრივი პროცედურების გაგრძელებას. აუცილებლად მოვითხოვ იმ ჩამდები პოლიციელების დასჯას. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ადამიანისთვის ცხადია, რომ დედაჩემის საქმიანობისა და „ქრონიკა+"-ის გამო მოხდა ის, რაც მოხდა, – განაცხადა ხარშილაძემ.

ჟურნალისტ ელისო კილაძის შვილი დავით ხარშილაძე სასამართლომ ნარკოდანაშაულის ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

# ხოტევში ტრაილერი ადგილობრივის ეზოში შევარდა – გარდაცვლილია 3 პირი




ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევში, ტრაილერი ერთ-ერთი ადგილობრივის ეზოში შევარდა და სახლის აივანს დაეჯახა.

მომხდარის შედეგად გარდაცვლილია ტრაილერში მყოფი სამი პირი.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# აშშ-ის სენატმა უკრაინას 500 მილიონი დოლარი გამოუყო



აშშ-ის სენატმა მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც უკრაინას თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის 500 მილიონი დოლარი გამოეყო.

— ეს ისტორიული დადგენილებაა, — ასეთია სენატორ მაკეინის კომენტარი.

კანონპროექტს მხარი სენატის 89 წევრმა დაუჭირა. წინააღმდეგი მხოლოდ 8 წავიდა. კანონში არის მუხლი უკრაინისთვის ლეტალური იარაღის გადაცემის შესახებ.

ტრამპის ადმინისტრაციას სენატის მიერ მიღებულ დადგენილებაზე კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, ტრამპის ყოფილი მრჩევლის, ბენონის, რეაქცია უკიდურესად უარყოფითი იყო:

— უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება ფრონტზე მდგომარეობას მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის. უკრაინამ უკვე დაამტკიცა, რომ ბრძოლა შეუძლია. რუსული არმიის შეტევა შეჩერებულია. ომმაც გაჭიანურებული ხასიათი მიიღო, —ამბობს ბენონი.

პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის აზრით, ასეთ სიტუაციაში უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. ამით აშშ დონბასის პროცესში უფრო აქტიურად და ღრმად ეფლობა და თავის თავზეც მეტ პასუხისმგებლობას იღებს, ვიდრე ახლა.

— ამერიკას პრობლემები მთელ მსოფლიოში ისედაც საკმაოდ აქვს. იმის კითხვა: ახალი პრობლემა, თანაც ასეთი მწვავე, რაში გვჭირდება? — ამბობს ბენონი.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, პესკოვმა განაცხადა, რომ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება ცეცხლზე ნავთს დაასხამს და ომის დამთავრებას განუსაზღვრელი ვადით გადაწევს.

— უკრაინელებთან დიალოგი დღესაც ძნელია. თუკი ისინი ამერიკულ იარაღს მიიღებენ, ეს საერთოდ შეუძლებელი გახდება! — აცხადებს პესკოვი.

პრეზიდენტმა პოროშენკომ აშშ-ს მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა. მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს მხოლოდ ძალის ენა ესმის. აშშ-ის მიერ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება კი სხვა არაფერია, თუ არა მოსკოვზე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლის გაძლიერება.

— რუსეთი იძულებული გახდება, აგრესია შეწყვიტოს. დონბასშიც მშვიდობა აღდგება, — ამბობს პოროშენკო.

# ტრამპი: „ჩვენ შეგვიძლია ჩრდილოეთ კორეის განადგურება“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოვიდა.

ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ კაცობრიობა ახალი გამოწვევების წინაშეა. მან თქვა, რომ არსებობენ ქვეყნები, რომლებიც უპასუხისმგებლო პოლიტიკას აწარმოებენ და თავიანთი მოქმედებით მთელს რეგიონებს საფრთხეს უქმნიან. ესენია ჩრდილოეთ კორეა, ირანი, ვენესუელა.

— აუცილებელია შეიქმნას დემოკრატიული, დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფოების ბლოკი, რათა ამ გამოწვევას გავუმკლავდეთ, — ამბობს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტი ჩრდილოეთ კორეის პრობლემაზე განსაკუთრებით შეჩერდა. მან აღნიშნა, რომ ამერიკული დიპლომატია ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს. სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობა საპირისპიროდ იქცევა.

— ჩვენ შეგვიძლია ჩრდილოეთ კორეა გავანადგუროთ, — თქვა ტრამპმა.



სირიის პრობლემის მიმოხილვისას ტრამპმა აქცენტი არა ასადის წასვლაზე, არამედ ტერორიზმთან ბრძოლაზე გააკეთა. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ წვლილსაც, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლაში თურქეთმა ან იორდანიამ შეიტანეს.

რუსეთის როლზე მას არაფერი უთქვამს. აშშ-ის პრეზიდენტი ღია ტექსტით რუსეთის დადანაშაულებას მოერიდა, თუმცა თქვა, რომ არსებობენ ქვეყნები, რომელთაც საზღვრების თვითნებური გადაწევა-გადმოწევა სურთ და საერთაშორისო სამართალს არად აგდებენ.

ტრამპმა საჯაროდ დააფიქსირა უკრაინისადმი მხარდაჭერა.

— უკრაინას, მის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას მთელი დემოკრატიული სამყარო მხარს უჭერს, — განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცეს როგორც პოლიტიკოსებმა, ასევე ექსპერტებმა.

— ეს იყო ძალიან ძლიერი და შთამბეჭდავი გამოსვლა, — თქვა ისრაელის პრემიერმა ნეთანიაჰუმ.



# რიხო ტერასი: „რუსეთი ბელორუსის ანექსიისთვის ემზადება!“

ბელორუსში შექმნილი მდგომარეობა დემოკრატიული მსოფლიოს მზარდ შეშფოთებას იწვევს. ესტონეთის თავდაცვითი ძალების მეთაურმა რიხო ტერასმა განაცხადა, რომ რუსეთი ბელორუსში თავის საქმიანობას ააქტიურებს.

— თუკი ბელორუსის პრეზიდენტი არსებული საგარეო კურსის შეცვლას შეეცდება, რუსეთი გადატრიალებას განახორციელებს. სათანადო კადრები უკვე შერჩეულია. გადატრიალება მოსალოდნელია იმ შემთხვევაშიც, თუკი პუტინმა ჩათვალა, რომ მისთვის ბელორუსის ანექსია ხელსაყრელია, — თქვა ტერასმა.

# მიწისძვრა მექსიკაში



მექსიკაში მიწისძვრა მოხდა. დაღუპულია 248 ადამიანი. მსხვერპლის რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს.

აღსანიშნავია, რომ მიწისძვრა მაშინ მოხდა, როცა მექსიკის სამაშველო ძალები წვრთნას გადიოდნენ. მოულოდნელად ვარჯიში სინამდვილედ გადაიქცა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი




# მელანია ტრამპი ხორვატულ რეკლამაში საკუთარი თავის დანახვამ აღაშფოთა

ხორვატიის ქალაქ ზაგრებში მოხსნეს სარეკლამო დაფები, რომელზეც მელანია ტრამპის ფოტოსურათები იყო განთავსებული. ეს ყოველივე კი აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლის ინტერესების დამცველი იურისტის მუქარის შემდეგ გაკეთდა.

რეკლამა განათავსა კომპანიამ, რომელიც უცხოური ენების სწავლებითაა დაკავებული. პლაკატზე აშშ-ის პირველი ლედი მიკროფონთან ამერიკის დროშის ფონზე დგას.

— თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად წარმატებული შეიძლება გახდეთ, თუ ცოტა ინგლისური გეცოდინებათ, — წერია პლაკატზე მელანია ტრამპის გვერდით.

სლოვენიელმა იურისტმა ნატაშა პირც-მუსარმა, რომელიც ტრამპის ინტერესებს წარმოადგენს, რეკლამის, რომელშიც აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლის სახე უკანონოდ იყო გამოყენებული, დაუყოვნებლივ მოხსნა მოითხოვა.

რეკლამის დამკვეთმა ფირმამ კამპანია შეწყვიტა და ბოდიში მოიხადა. ამის მიუხედავად პირც-მუსარი ამტკიცებს, რომ კონფლიქტი ჯერ არ ამოწურულა. ის მოითხოვს, რომ ბოდიში გამოაქვეყნონ ხორვატიის და სლოვენიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოებმა.

შეგახსენებთ, რომ მელანია ტრამპი 1970 წელს სლოვენიის ქალაქ ნოვო-მესტოში დაიბადა, რომელიც ისევე, როგორც ზაგრები, მაშინდელი იუგოსლავიის შემადგენლობაში შედიოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა — კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა — პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დინამო ევროთასებს მარცხიანად დაუბრუნდა





**დინამო-ხუვენტუტი 60:72**

(17:17, 12:13, 16:17, 15:25)

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ქართული კლუბი ევროტურნირზე გამოჩნდა. თბილისის დინამომ, რომელიც საქართველოს მოქმედი ჩემპიონია, ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში მოსინჯა ძალა. ირაკლი ხოშტარიას, მარკო მინიჩისა და მამუკა ტურაშვილის გაწვრთნილი გუნდი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ესპანეთის ხუვენტუტს დაუპირისპირდა და ბრძოლაში ჩატარებული 3 პერიოდის შემდეგ, ბოლო ათწუთეულში გატყდა.

თუმცა ამ ეტაპისთვის მოგებას იმდენად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც ევროსარბიელზე ქართული კლუბის, თანაც დინამოს დაბრუნებას. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავარდნილი გუნდები ფიბა-ს შედარებით დაბალი რანგის ტურნირში, ევროთასზე ინაცვლებენ და თუკი (უფრო ვეღარ) დინამო ხუვენტუტის ბარიერს ვერ დაძლევს, დაახლოებით მისივე კალიბრის გუნდებთან მოუწევს ევროთასზე ბრძოლა.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ჯგუფურ ეტაპზე რომ მოხვდეს, დინამოს 3 ეტაპის დაძლევა მართებს. თანაც, ყოველ მომდევნო რაუნდში მეტოქე გუნდის დონე მატულობს. ხუვენტუტთან კი, დინამომ შინ 12 ქულით – 60:72 წააგო და ეს ბარიერი რომ დაძლიოს, ესპანეთში ამაზე მეტი სხვაობით უნდა მოიგოს.

როდესაც დინამოს მეტოქის ვინაობა შევიტყვეთ, წილისყრით უკმაყოფილონი დავრჩით. ისეთ ცნობილ და ავტორიტეტულ კლუბთან გაჯიბრება, როგორც ბადალონას ხუვენტუტია, საინტერესოცაა და სასარგებლოც. კატალონელებს ხომ დინამოს მსგავსად ჩემპიონთა თასი აქვთ მოგებული. თუმცა, ჩვენივე გუნდის მსგავსად, მისი ისტორია უფრო წარსულს ჩაბარდა და ახლა ესპანეთის ჩემპიონატში უფრო ელიტაში დასარჩენად უწევს ხოლმე ბრძოლა.

დინამომ წინასასეზონოდ 4 ახალი ლეგიონერი დაიმატა, ქუთაისიდან გიორგი ცინცაძე გადაიყვანა თავისთან, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და გიორგი შარაბიძე კი საქართველოში დაბრუნა. ევროპის ჩემპიონატზე მიღებული ტრავმა ცინცაძეს გაუმიზეზდა, რის გამოც კატალონიელებთან არ უთამაშია... სხვა ლეგიონერების კი რა მოგახსენოთ – მხოლოდ ნიკოლა გაჩეშამ დაგვამახსოვრა თავი.

თამაში მწირქულიანი გამოდგა. ორივე გუნდი ბევრს სცოდავდა, რაც უფრო უკლასობის მანიშნებელია. ცხადია, უფრო მაღალ ლიგაზე თამაში ორივე გუნდს გაუჭირდება, მაგრამ ხუვენტუტისა ესპანელებმა იდარდონ, ჩვენ ჩვენი სადარდებელიც გვეყოფა.

პირველი მეოთხედი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ხან ერთი გუნდი მოახერხებდა გაქცევას, ხანაც მეორე და საბოლოოდ ფრე – 17:17.

მეორე პერიოდის დასაწყისში ჯერ კატალონელებმა აიღეს უპასუხო 5 ქულა, შემდეგ – ქართველებმა და კარგა ხნის განმავლობაში ანგარიში 22:22 იყო. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე ლონდარიძემ ანგარიში 27:24 გახადა, ხოლო დასკვნითი მონაკვეთი სტუმრებმა უკეთ ჩაატარეს და შესვენებაზე ერთქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს – 30:29.

მესამე პერიოდში თანაბარი თამაში წავიდა. ორივე გუნდი მცდელობას არ აკლებდა. ათწუთეული ამჯერადაც ქულით წავაგეთ და ბოლო მეოთხედს 2-ქულიანი ჩამორჩენით შევხვდით.

ბოლო პერიოდი ჩვენთვის ცუდად დაიწყო. 2 საჯარიმო გავაცუდეთ, კატალონიელებმა კი მიჯრით 2 სამქულიანი ჩააგდეს და 53:45 დაწინაურდნენ.

6 წუთით ადრე ხუვენტუტი 10 ქულით გაიჭრა წინ, დინამოელებს კი დაღლა დაეტყოთ. ბოლო წუთებზე დინამოელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, საბოლოოდ კატალონელებმა 72:60 იმარჯვეს და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად დიდი ნაბიჯიც გადადგეს.

დინამოელთაგან ნიკოლოზ ცქიტიშვილმა 23 ქულა მიითვალა, ნიკოლა გაჩეშამ – 17.

**ირაკლი ხოშტარია:**

– მინუსი ისაა, რომ სულ 10 დღეა, რაც შევიკრიბეთ. ქართულ კლუბებს წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ. კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. მეტოქე ჩვენზე ფიზიკურად ძლიერი იყო. განმეორებითი თამაში ზეგაა, შევეცდებით, ღირსეულად ვითამაშოთ. მოგების შანსი იყო.

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა ბადალონას „პალაუს არენაზე“ 21 სექტემბერს ჩატარდება.

# სებასტიან რუდი: „ჩემ ვარჯიშს 2.500 გულშემატკივარი აქამდე არ დასწრებია“





სეზონის პირველ მატჩებში სებასტიან რუდი ბავარიელთათვის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა. რეკორდმაისტერის ახალწვეულმა უკვე აჩვენა თავისი საუკეთესო თვისებები. გერმანულ მედიასთან ინტერვიუში 27 წლის ნახევარმცველი თავის საიდუმლო ტალანტზე საუბრობს.

***– უკან მოიტოვეთ გარკვეული პერიოდი. გრძნობთ თავს უკვე, როგორც სახლში?***

– დიახ, თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. არ ველოდებოდი, რომ ასე თბილად მიმიღებდნენ. პირველივე დღეებიდან ყველაფერი დიდებულად იყო. გუნდმა კი გაცილებით შემიმსუბუქა ადაპტაცია. გუნდში ბევრს ნაკრებიდან ვიცნობდი, ამიტომ დიდი დრო არ დამჭირვებია შეგუებაზე.

***– უკვე მოძებნეთ სახლი?***

– კი, გრუნვალდში. მე და ჩემი მეუღლე უპირატესობას წყნარ ადგილებში ცხოვრებას ვანიჭებთ, ამიტომ ქალაქგარეთ გადავწყვიტეთ დავსახლებულიყავით.

***– გქონდა იმის დრო, რომ მიუნხენი და მისი შემოგარენი შეგესწავლა?***

– ამ დრომდე საკმაოდ დაკავებულნი ვიყავით გადმობარგებით. ამიტომ არცთუ ისე დიდი დრო გვქონდა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიყავით რამოდენიმე ადგილზე. მომდევნო კვირებისა და თვეების განმავლობაში ნამდვილად ყველაფერს დავათვალიერებთ.

***– რომელ ფეხბურთელებთან ატარებ დროს მინდორს გარეთ?***

– ვცდილობ, კონტაქტი ყველასთან დავამყარო, რომ ყველას გავეცნო. მაგრამ, კი, რამდენიმესთან უფრო დიდ დროს ვატარებ, ვიდრე დანარჩენებთან. ეს, მაგალითად, ნიკლას ზიულე, ჯოშუა კიმიხი, თომას მიულერი და მათს ჰუმელსია.

***– ჯოშუა ბიოზინგენში გაიზარდა, ეს სულ რაღაც 11 კილომეტრით შორია შენი მშობლიური ქალაქი დიტინგენიდან.***

– და ჯოშუაც, როგორც მე, შტუტგარტის ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა. რა თქმა უნდა, ასეთი ისტორიის ფონზე ადვილია ჩვენთვის საერთო ენის გამონახვა.

***– ახლა გასახდელში შესაძლებელია შვაბური ლაპარაკი მოვისმინოთ?***

– შესაძლოა. მაგრამ ბოლო 7 წელი მე ჰაიდელბერგში ვცხოვრობდი, ჯოშუა კი ლაიფციგში – ეს ოდნავ განსხვავებული დიალექტებია.

***– 4 ძმა და 1 და გყავს. როგორი იყო ასეთ დიდ ოჯახში ცხოვრება?***

– ჩემი მშობლებისათვის ალბათ ცოტა მძიმე იყო, მაგრამ მე ვთვლი, რომ დიდი ოჯახი ეს მშვენიერია. ჩემი ერთი ძმა 1 წლით უფროსია, მეორე 2 წლით უმცროსი. ჩემი და ახლა 18 წლისაა, ხოლო ყველაზე პატარა ძმა 10 წლის არის.

***– მიუნხენში გამომგზავრების წინ შენ კონფედერაციის თასი მოიგე. შეგმატა ამან თავდაჯერება ბავარიის დედაქალაქში გამომგზავრებამდე?***

– პირველ რიგში ვიტყოდი, რომ კონფედერაციის თასის მოგება ჩინებული იყო. მაგრამ ამ წარმატების გარეშეც უარესად არ ვგრძნობდი თავს. მოედანზე ყოველთვის შენს ძალებში თავდაჯერებული უნდა გამოხვიდე. სურვილი უნდა გქონდეს წინ წახვიდე.

***– პრეზენტაციის დროს შენ თქვი, რომ ბავარიაში იმის ჩვენების სურვილი გაქვს, თუ რისი შესაძლებლობა გაქვს. კმაყოფილი ხარ იმით, რისი ჩვენებაც უკვე მოასწარი?***

– ვთვლი, რომ კარგად შევეწყე გუნდს. მაგრამ ვიცი, რომ უფრო მეტი შესაძლებლობა მაქვს. უკეთესი ვარჯიშების დროსაც ხდება. მსურს ჩემი მაქსიმუმი გავიგო. ვფიქრობ, რომ ბავარია შესაფერისი ადგილია ამისთვის.

***– სხვა სისტემა, სხვა მწვრთნელი, სხვა თანაგუნდელები – რამდენად შეიცვალა შენი თამაში ბავარიაში?***

– განსაკუთრებით არ შეცვლილა. მიმაჩნია, რომ ბაიერნმა ჩემი სტილის გამო გადმომიყვანა. ამიტომ ძალიან არ უნდა შევიცვალო. მაგრამ. თავისთავად, გუნდში უნდა ვინტეგრირდე და ტაქტიკურ მომენტებში ადაპტაცია უნდა გავიარო. მაგრამ ჩემს სათამაშო სტილზე ეს გავლენას არ მოახდენს.

***– პირველი მატჩების შემდეგ შენს თამაშს ძალიან აქებენ. იქმნება მოსაზრება, რომ აქამდე საზოგადოება ცოტათი არ გაფასებდა?***

– როდესაც გუნდში უფასოდ მოდიხარ, ამას პლუს არ ხარ საჯარო პერსონა, ასეთი რამ შესაძლებელია. მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ეს ცუდია. უკეთესია, არ გაფასებდნენ, ვიდრე ზედმეტად შეფასებული იყო. ასეთ პირობებში მშვიდად შეგიძლია ადაპტაცია გაიარო და შეეცადო შენი საუკეთესო თამაშები ანახო.

***– ბავარიაში გადასვლის შემდეგ მეტი ყურადღების ქვეშ მოექეცი?***

– ასეც შეიძლება ითქვას. უკიდურეს შემთხვევაში უფრო ხშირად ვიძლევი ინტერვიუს.

***– გიხერხდება მშვიდად გასვლა ქალაქში ან კინოს ყურება?***

– ჯერჯერობით არანაირი პრობლემა არ მქონია.

***– ღია ვარჯიშებზე ბოლო კვირების განმავლობაში 2.500 გულშემატკივარია მოსული. რამდენი ავტოგრაფი გაეცი უკვე?***

– საკმაოდ ბევრი. მაგრამ მე ამას სიამოვნებით ვაკეთებ, რადგან ამგვარად ჩვენ გულშემატკივრებს სიხარულს ვანიჭებთ, განსაკუთრებით ბავშვებს.

***– როდესაც 2.500 ადამიანი თვალს ადევნებს ვარჯიშებს, თქვენ ჩვეულებრივზე გაცილებით მეტს იხარჯებით?***

– ასე არ ვიტყოდი, მაგრამ მე ეს მომწონს. ღია ვარჯიშები ჩემს წინა კლუბებშიც ტარდებოდა, მაგრამ 2.500 გულშემატკივრის ხილვას ჯერ არ მოვსწრებივარ.

***– გრჩება ცეკვებისათვის დრო? რამდენიმე წლის წინ შენ მოყევი, რომ ცეკვები ეს შენი ჰობია.***

– ჩემს მეუღლესთან ერთად ცეკვებს ჩვენს ქორწილამდე რამდენიმე ხნით ადრე შევუერთდი. გაკვეთილებიდან ისეთი დიდი სიამოვნება მივიღეთ, რომ გადავწყვიტეთ, გაგვეგრძელებინა. ჯერჯერობით 10 სახეობის ცეკვა გვაქვს ნასწავლი: ვალსი, ჩა-ჩა-ჩა, დისკოფოქსი... მიუნხენშიც ვაპირებთ მეცადინეობების გაგრძელებას. მაგრამ ჯერჯერობით, გადმობარგების გამო, ამისათვის დრო არ გვაქვს.

***– ასევე ჩოგბურთს თამაშობ.***

– უკვე 10 წელია, რაც ვთამაშობ, მაგრამ ფეხბურთის ვარჯიშებთან დამატებით, ეს მეტად ძლიერი დატვირთვაა. ამიტომ მხოლოდ შვებულების დროს ვთამაშობ. ხოლო სეზონის განმავლობაში მაგიდის ჩოგბურთით ვანაცვლებ.

***– როგორია მოედანზე ბაიერნის მაისურით გამოსვლა?***

– ბაიერნი თითოეულ მატჩში ფავორიტია. ამიტომ მეტოქეები ჩვენს წინააღმდეგ ორმაგი მოტივაციით გამოდიან. არ შეიძლება არც ერთი გუნდის არ დაფასება. ყოველთვის 100 პროცენტით უნდა დაიხარჯო. თუ გსურს, რომ ტიტულები მოიპოვო, არ უნდა მოეშვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლოსკენ დაძაბული ბრძოლა იქნება, თითოეული პროცენტია გასათვალისწინებელი.

***– კონფედერაციის თასი შენი პირველი ტიტული გახდა. შემდეგ გერმანიის სუპერთასი მოჰყვა. გრძნობ, რომ ბოლოსდაბოლოს, როგორც ფეხბურთელი, რეალიზდები?***

– რა თქმა უნდა, რა არის იმაზე უკეთესი რამ, რაც ტროფეის მოპოვება და მაღლა აღმართვაა. ვიმედოვნებ, რამოდენიმე კიდევ იქნება.

***– ტიტულებიანი მეგობრები, როგორებიც თომას მიულერი და არიენ რობენია, იძახიან, რომ როდესაც ერთ ტიტულს მოიპოვებ, ახალი ტიტულების მოპოვების წყურვილი უფრო დიდი ხდება.***

– არ შემიძლია იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე დავკმაყოფილდები ტიტულებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბევრი დამიგროვდება. შეხედეთ არიენ რობენს, ფრანკ რიბერის ან თომას მიულერს. მათ მეტი და მეტი სწყურიათ.

# შირერი კლოპის წინააღმდეგ



ნიუკასლის ლეგენდარული თავდამსხმელი, ალან შირერი მიიჩნევს, რომ იურგენ კლოპის მოსვლის შემდეგ ლივერპული უფრო ძლიერი გუნდი არ გამხდარა.

ბოლო პერიოდი მერსისაიდელებისთვის ძალიან მძიმე გამოდგა. სიტისთან განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, „წითლებმა“ საკუთარ კედლებში ქულები ჯერ ჩემპიონთა ლიგაზე სევილიასთან, შემდეგ კი პრემიერლიგაში ბარნლისთან დაკარგეს, ხოლო ინგლისის თასზე სულაც ლესტერთან წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ.

წარუმატებლობის მთავარი მიზეზი კი კვლავაც დაცვის ხაზია, რომელიც კრიტიკას ვერც გერმანელის „ენფილდზე“ მისვლის შემდეგ უძლებს.

ალან შირერი:

– დიახ, კლოპმა ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე დააბრუნა, რითიც ბოსების ნდობა დაიმსახურა. სიმართლე კი ისაა, რომ ბრენდან როჯერსის ლივერპულს თუ გავიხსენებთ და ამ გუნდს შევადარებთ, აღმოვაჩენთ, რომ ლივერპული არ გაძლიერებულა. მერსისაიდელები კვლავ შესანიშნავად თამაშობენ შეტევაში, თუმცა სულელურ გადაწყვეტილებებს იღებენ დაცვაში.

# შედეგები

19 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ასტონ ვილა-მიდლსბრო ................ 0:2
ბარნლი-ლიდსი ................... 2:2 (3:5პ)
ბორნმუთი-ბრაიტონი ............ 1:0 (დდ)
ბრენტფორდი-ნორვიჩი ................ 1:3
ბრისტოლ სიტი-სტოკი ................ 2:0
ვესტ ჰემი-ბოლტონი ..................... 3:0
ვულვზი-ბრისტოლ როვერსი 1:0 (დდ)
კრ.პალასი-ჰადერსფილდი ............ 1:0
ლესტერი-ლივერპული ................. 2:0
რედინგი-სუონსი .......................... 0:2
ტოტენჰემი-ბარნსლი ................... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-მალაგა .......................... 5:0
ბარსელონა-ეიბარი ........................ 6:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 17-2 | 15 |
| 2.სევილია | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 3.ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 9 |
| 4.სოსიედადი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-7 | 9 |
| 5.რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-4 | 8 |
| 6.ატლეტიკო | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 7.ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 3-1 | 7 |
| 8.ვილიარეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 9.ლევანტე | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 10.ლეგანესი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 6 |
| 11.ლას პალმასი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 12.ბეტისი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 13.ეიბარი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-10 | 6 |
| 14.ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 15.ხირონა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 16.ესპანიოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-8 | 4 |
| 17.სელტა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 18.დეპორტივო | 4 | 0 | 1 | 3 | 5-11 | 1 |
| 19.ალავესი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-7 | 0 |
| 20.მალაგა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-11 | 0 |

**ესპანეთი. თასი**

ხიხონი-ნუმანსია ................. 1:1 (1:3პ)

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-შტუტგარტი ................ 2:0
აუგსბურგი-ლაიფციგი .................. 1:0
ვოლფსბურგი-ვერდერი ................ 1:1
შალკე-ბაიერნი ................................ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-3 | 12 |
| 2.დორტმუნდი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-0 | 10 |
| 3.აუგსბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 4.ჰანოვერი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| 5.შალკე | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 7.გლადბახი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 8.ლაიპციგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 9.ჰამბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| 10.შტუტგარტი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-7 | 6 |
| 11.ჰერტა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 12.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 13.ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-8 | 4 |
| 14.აინტრახტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 15.მაინცი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 16.ვერდერი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |
| 17.ფრაიბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-8 | 2 |
| 18.კიოლნი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-უნიონი ..................... 1:0
ინგოლშტადი-დუისბურგი ............. 2:2
კაიზერი-აუე .................................... 0:2
კილი-ზ.პაული ................................. 0:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ინტერი .......................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 2.ნაპოლი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-2 | 12 |
| 3.იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 13-3 | 12 |
| 4.ლაციო | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 5.მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-6 | 9 |
| 6.ტორინო | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 7.სამპდორია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 8.რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 9.ფიორენტინა | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 6 |
| 10.კალიარი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| 11.ბოლონია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 12.ატალანტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 13.კიევო | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 14.სპალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 15.უდინეზე | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 16.ჯენოა | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |
| 17.სასუოლო | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |
| 18.კროტონე | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |
| 19.ვერონა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-11 | 1 |
| 20.ბენევენტო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ფროზინონე ...................... 0:1
ბარი-კრემონეზე ............................ 1:0
კარპი-ფოჯა .................................... 1:3
პალერმო-პერუჯა .......................... 1:0
პარმა-ემპოლი ............................... 1:2
პესკარა-ვირტუსი ........................... 2:2
პრო ვერჩელი-სალერნიტანა ......... 1:1
სპეცია-ნოვარა ................................ 1:0
ჩიტადელა-ჩეზენა .......................... 4:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

აიაჩო-ვალანსიენი ......................... 3:0
ლე ავრი-სოშო ............................... 1:0
ნანსი-პერონა ................................. 2:1
ნიორი-ბრესტი ............................... 0:2
ოსერი-ლორიანი ............................ 1:0
რეიმსი-გაზელეკი .......................... 5:0
ტური-ნიმი ..................................... 0:4
პარიზი-ორლეანი ........................... 1:0
შატორუ-კლერმონი ........................ 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-ჰაკენი ...................... 4:1
ელფსბორგი-დიურგარდენი ......... 2:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მეხანძრეები სამი საათი ათავისუფლებდნენ შტანგის თეფშისგან გერმანელის სასქესო ორგანოს



გერმანიის მოქალაქის სასქესო ორგანო შტანგის თეფშის ხვრელში გაიჭედა. ეს ინფორმაცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ქალაქ ვორმსის მეხანძრეებმა განათავსეს.

მაშველები გამოიძახეს საავადმყოფოში, რომელსაც დახმარებისთვის მიმართა დაზარალებულმა. აღსანიშნავია, რომ სასქესო ორგანოს განთავისუფლების ოპერაცია მჭრელი ინსტრუმენტების გამოყენებით დაახლოებით სამი საათი გრძელდებოდა.

შტანგის თეფშის წონა ორნახევარ კილოგრამს შეადგენდა. მეხანძრეებმა ასევე გამოაქვეყნეს მათ მიერ გაჭრილი შტანგის თეფშის სურათი, კომენტარით:

– გთხოვთ, ასეთი რამ არ გაიმეოროთ!

# ნიანგმა ინდონეზიაში ნიანგების შემლოცველი მოკლა



ინდონეზიის კუტაი-კარტანეგარას ოლქში ნიანგი თავს დაესხა შამანს და ის წყალში ჩაითრია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ნიანგების შემლოცველს თხოვნით მიმართეს, ეპოვა არჯუნუ – სოფლის მცხოვრები, რომელიც ახლახან დაიკარგა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ არჯუნუ მდინარეში ბანაობდა და მას ერთ-ერთი რეპტილია თავს დაესხა.

როდესაც შამანი მდინარეში შევიდა და მანტრების კითხვა დაიწყო, მას ნიანგმა სტაცა პირი. მამაკაცი ერთ წამში წყალში გაუჩინარდა. თვითმხილველებმა შამანის დაღუპვა ვიდეოზე გადაიღეს. ვიდეორგოლები იუთუბისა და ინსტაგრამშია განთავსებული.

მეორე დღეს პოლიციამ არჯუნისა და შამანის გვამები მდინარეში იპოვა. ადგილობრივი პოლიციის მეთაურის ფადილახ ზულკამაენის თქმით, მტაცებელს ისინი არ შეუჭამია.

– ვფიქრობ, ნიანგმა შამანი წყალქვეშ ჩაძირა და იქ მას ჟანგბადი გამოელია, – განაცხადა ზულკამაენმა, – ფოტოსურათებზე, რომელიც თავად ვნახე, გვამები ხელუხლებელია, ხელებიც და ფეხებიც ადგილზეა.

# აშშ-ში თვითმფრინავი ორ კეთილშობილ ირემს დაეჯახა



ამერიკის ორეგონის შტატში თვითმფრინავი ორ კეთილშობილ ირემს დაეჯახა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პირველი ირემი აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე, რომელიც ნაჰალემ-ბეის პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს, იმ დროს გამოვარდა, როდესაც ორადგილიანი თვითმფრინავი ასაფრენ ზოლზე ეშვებოდა. პილოტი შეეცადა შეჯახებისთვის თავი აერიდებინა და თვითმფრინავი ზევით მიმართა, მაგრამ საკმარისი სიმაღლის აკრეფა ვერ მოასწრო და ცხოველს პროპელერი და შასი გამოსდო. ამის შემდეგ ასაფრენ ზოლზე კიდევ ერთი ირემი გამოვარდა და თვითმფრინავის მარცხენა ფრთას დაეჯახა.

ორივე ირემი დაიღუპა. პილოტი და მისი მგზავრი არ დაშავებულან, მაგრამ თვითმფრინავმა მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღო.

# ჟენევის პროკურატურამ უნიტაზში 100 ათასი ევროს ჩამშვებ ქალებს მიაგნო



ჟენევის კანტონის პროკურატურამ აღმოაჩინა ის პიროვნებები, რომლებმაც უნიტაზში 100 ათასი ევროს კუპიურები ჩარეცხეს. ისინი ესპანეთის მოქალაქე ქალები გამოდგნენ. ამის თაობაზე პრესის წარმომადგენლებს ჟენევის კანტონის პროკურატურის პრეს-მდივანმა ვინსენტ დერუანმა განაცხადა.

– საერთო თანხამ დაახლოებით 100 ათასი ევრო შეადგინა. გამოძიება გრძელდება. დღეისათვის ცნობილია, რომ ორი ქალი, ეროვნებით ესპანელები, ფულს ტუალეტებში ყრიდნენ. პროკურორები ასევე სწავლობენ ფულის წარმომავლობას, – განაცხადა დერუანმა.

მისი თქმით, თუ გაირკვევა, რომ ფული კანონიერი გზით იყო მიღებული, ესპანელები არ დაისჯებიან, ვინაიდან შვეიცარიაში ფულის განადგურება დანაშაულად არ ითვლება.

– ხოლო თუ ეს ფული არალეგალურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული, მაშინ სულ სხვა საქმეა. ამ მომენტისთვის ქალები დამნაშავეებს არ წარმოადგენენ, თუმცა მათ ადვოკატს უკვე მოუსმინეს პოლიციაში, – დაამატა დერუანმა.

# სპერმის დონორი19 ბიოლოგიურ შვილს შეხვდა

57 წლის ამერიკელი მხატვარი მაიკლ რუბინო 19 შვილს შეხვდა, რომლებიც მისი სპერმის ხელოვნური გამოყენებით დაიბადნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს, რომელიც ამ შეხვედრის ორგანიზატორი გახდა.

– როდესაც დონორი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ თუ გამიმართლებდა, ორ ან სამს შევხვდებოდი, – აღიარა რუბინომ, – ყველა მათგანი შემიყვარდა, როგორც კი მათ შევხვდი.

რუბინოს ბიოლოგიური ბავშვებიდან უფროსი 21, ხოლო პატარა 16 წლისაა. 11 მათგანს ისეთივე ცისფერი თვალები აქვთ, როგორც მათ ბიოლოგიურ მამას. მათი დედები აშშ-ის 10 შტატში და დიდი ბრიტანეთის კაიმანის კუნძულებზე ცხოვრობდნენ. რუბინო ბავშვების სურათებს საკუთარი სახლის სასტუმრო ოთახში თაროზე ინახავს.




ამერიკელი მხატვარის მტკიცებით, ის დონორი გახდა არა ფინანსური მოსაზრებით, არამედ იმისთვის, რომ უშვილო წყვილებს დახმარებოდა. მას ყოველ შემოწირულობაში 50 დოლარს უხდიდნენ, მაგრამ ის ამ ფულს ქველმოქმედებაში ხარჯავდა.

# ავსტრალიურმა ოჯახმა უნიტაზში შხამიანი გველი აღმოაჩინა



ავსტრალიის კვისლენდის შტატის ქალაქ გოლდ-კოსტის გარეუბანში დაიჭირეს შხამიანი გველი, რომელიც უნიტაზში იმალებოდა.

ოჯახმა, რომელმაც ქვეწარმავალი საკუთარ სახლში აღმოაჩინა, სპეციალისტი გამოიძახა. გველების დამჭერი ტონი ჰარისონი ქვეწარმავალთან ბრძოლას ფეისბუქში გადასცემდა. მას უნიტაზიდან გველის ამოსაყვანად სამი წუთი დასჭირდა.

ტუალეტში დიდი ყავისფერი ბოიგა იმალებოდა.

– თქვენ წარმოიდგინეთ, დილით უნიტაზზე ჯდებით და აი ასეთი რამ თქვენს ფეხებს შორის ამოყოფს თავს, – დაწერა კომენტარში ჰარისონმა.

მისი განმარტებით, ასეთი გველის კბენისგან არ იღუპებიან, მაგრამ მაინც არავის აქვს იმის სურვილი, რომ ქვეწარმავალმა უკანალზე უკბინოს.

# თურქმა პარაპლანერისტებმა ფრენის დროს ითევზავეს



ორმა თურქმა პარაპლანერისტმა თევზების დაჭერა ფრენის დროს მოახერხა. ამ ინფორმაციას გამოცემა დეილი მეილი ავრცელებს.

პროგრამისტი კადირ მერტი და მისი მეგობარი ტუნახანი პარაპლანით თურქეთის სანაპიროსთან შავი ზღვის თავზე დაფრინავდნენ. მათ თან ჰქონდათ ანკესები და სატყუარათი სავსე სათლი. მათ ოთხი თევზის დაჭერა მოახერხეს, თუმცა უცნობია, თუ რა დრო დასჭირდათ ამის მისაღწევად.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

## სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

# ასტროპროგნოზი

## 21 სექტემბერი



**ვერძი** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. რეალობა ისეთი მიიღეთ, როგორიც სინამდვილეშია. **კურო** – დღეს შესაძლოა ძველი, დავიწყებული კავშირები აღადგინოთ. შესაფერისი პერიოდია სტუმრების მისაღებად. **ტყუპები** – მშვიდად იყავით. ჰარმონიული, გაწონასწორებული დღეა, რომელიც საინტერესო ახალ ამბავს გპირდებათ. **კირჩხიბი** – ყოველგვარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** – სიტუაცია მოულოდნელად თქვენ სასარგებლოდ იცვლება. გარშემომყოფებთან უთანხმოება ნუ დაგაფრთხობთ. **ქალწული** – შექმნილი სიტუაცია საკუთარი პრინციპების დათმობას გაიძულებთ. ამის მიუხედავად, ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავთ. **სასწორი** – ახალგაცნობილი ადამიანისგან სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი. ახლობლებისა და ნათესავებისგან დახმარებას ნუ ელით. **ღრიანკალი** – შეცდომების გამოსწორების შანსი გეძლევათ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. იყავით დამთმობი და მოსიყვარულე. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. **თხის რქა** – პროფესიულ სფეროში წარმატება გელით. შრომისუნარიანობა საგრძნობლად აგიმაღლდებათ. **მერწყული** – გამოიჩინეთ გულმოწყალება, სიბრძნე. დაეხმარეთ ადამიანებს და თავს უკეთესად იგრძნობთ. **თევზები** – ფულის სესხება-გასესხება დღეს დაუშვებელია. სასარგებლოა ფიზიკური შრომა. მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 5. ძრავიანი ველოსიპედი; 9. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 11. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 18. მთიანეთი ციმბირის სამხრეთში; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

**თარაზულად:** 4. კურორტი საფრანგეთში, სადაც ჩატარდა პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშები; 5. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 7. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 8. ნაკურთხი წყალი; 10. ჩინური ფინიკი; 13. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ძველებური ქართული ცხენოსნური თამაში; 16. მდინარე ციმბირში; 20. კუთხე საქართველოში; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 22. საფოსტო გზავნილი; 23. ქართველი კომპოზიტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ისაკაძე; 2. ხანუკა; 3. ბაკურიანი; 4. კრიშნა; 5. ლომბარდი; 7. ვატი; 11. ნეპტუნი; 13. პუბლიკა; 15. ქართუ; 16. კეჩუა; 18. ღვინო; 19. „ვალიო“.

**თარაზულად**: 6. საბვეი; 8. ბაირამი; 9. ორიგამი; 10. ალბიონი; 12. განდი; 14. დაგერი; 17. ნაბელლავი; 20. ღრუბელი; 21. მთიები; 22. ნუნისი; 23. მასმედია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „ბაკარდი“; 2. ბორისპოლი; 3. ციხეგოჯი; 4. არიფანა; 5. კახასა; 9. მოსადი; 11. ლორნეტი; 12. კოდორი; 14. ლეჩხუმი; 18. ანოდი; 19. ზუთხი.

**თარაზულად**: 4. არმანი; 5. კაბოშონი; 6. ნიკეა; 7. ჟინვალი; 8. ბინომი; 10. ბეილი; 13. დელისი; 15. პრესტო; 16. ჯუნო; 17. ქამა; 20. ხახული; 21. ყირიმი; 22. ბოდრუმი; 23. ხარება.

სპორტი

# ლამპარდი მოურინიოს მანჩესტერელთა წარმატების მიზეზად მიიჩნევს



ლონდონის ჩელსის ლეგენდა ფრენკ ლამპარდი თვლის, რომ მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი კოზირი ჩემპიონთა ლიგაზე ჟოზე მოურინიო იქნება.

„წითელი ეშმაკები“ მეხუთე კლუბია, რომელთან ერთადაც მოურინიო ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე ასპარეზობს. იუნაიტედის მთავარი მწვრთნელის პოსტზე კი ეს მისი სადებიუტო სეზონია ჩემპიონთა ლიგაზე, რომლის პირველი მატჩიც ბაზელთან გამარჯვებით დაიწყო.

ლამპარდს ეჭვიც არ ეპარება, რომ მისი ყოფილი მწვრთნელის ამჟამინდელი გუნდი ჯგუფურ ეტაპს დაბრკოლების გარეშე გადალახავს და მეოთხედფინალამდე მიაღწევს.

**ფრენკ ლამპარდი:**

– მანჩესტერი ჯგუფიდან დამაჯერებლად გავა. დარწმუნებული ვარ, რომ მათ გუნდში მყოფი ფეხბურთელებისა და ჟოზე მოურინიოს სამწვრთნელო ფიგურის გათვალისწინებით მეოთხედფინალამდე მიაღწევენ და ეს ყველაზე მინიმუმი იქნება. მოურინიო მათი მთავარი კოზირია. ამაში გასული სეზონის ევროპა ლიგამაც დაგარწმუნათ. პრემიერ ლიგაში არაერთგვაროვნად ასპარეზობდნენ, მაგრამ როცა გადამწყვეტ მატჩებს შეეხო საქმე, მოურინიომ შედეგი აჩვენა. ხალხი ამბობს, რომ შედეგს მოედანზე ფეხბურთელები აღწევენ, მაგრამ უბრალოდ შეხედეთ, როგორი გუნდი გამოიყვანა მოურინიომ აიაქსთან ფინალში, სადაც ძალიან პრაგმატული მიდგომა აირჩია, ფსონი მოწინააღმდეგისგან ხიფათის აღკვეთაზე დადო და თავისი გუნდის ძლიერი მხარეები გამოიყენა. მოურინიოს ყოველთვის შეუძლია მატჩის მოსაგები საშუალება იპოვოს.

# საქართველოს ნაკრების მეტოქეს მწვრთნელი შეეცვალა



გერმანიის კალთბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. გასულ ევრობასკეტსა და მომავალ მსოფლიო თასის საკვალიფიკაციოში საქართველოს მეტოქე ქვეყნის ნაკრებს ჰენრიკ რიოდლი გაწვრთნის, რომელიც აქამდელი მთავარი მწვრთნელის, კრის ფლემინგის ასისტენტი გახლდათ.

ფლემინგი, რომელიც ნბა-ს გუნდს ბრუკლინ ნეთსის ერთ-ერთი მწვრთნელი გახლავთ, ამერიკაში ბრუნდება და ამის გამო მან გერმანიის მთავარი მწვრთნელის სავარძელი დატოვა. რაც შეეხება რიოდლს, ის გერმანელთა მეორე ნაკრებისა დ 20-წლამდელების მწვრთნელი გახლდათ და, ცხადია, ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბშიც მუშაობდა.

მოგეხსენებათ, გერმანიისა და საქართველოს ეროვნული გუნდები აწ უკვე დასრულებულ ევრობასკეტზეც ერთ ჯგუფში იყვნენ და ქართველებმა თელ ავივში გამართული მატჩი 57:67 წააგეს, რამაც ჩვენს გუნდს საქმეები ძალიან აურია.

მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში გერმანია და საქართველო გ ჯგუფში მოხვდნენ და მეტოქეებად ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი სერბეთი და ავსტრიაც ეყოლებათ.

24 ნოემბერს ქართველი კალათბურთელები გერმანელებს ხემნიცში ეთამაშებიან, საპასუხო შეხვედრა კი, გაისად, 25 თებერვალს თბილისში შედგება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

დედა ნუნუ, მეუღლე რაიბული, შვილები ლადო და ეკა, და ლილი, სიძე რომანი, დისშვილები გიორგი და მარინა, რძალი თამრიკო, შვილიშვილები ეკა და მარიამი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ნელი ჩარკვიანის**

გარდაცვალების გამო.

თემურ ჭელიძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მძახლის

**ნელი ჩარკვიანის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რუსკა მაყაშვილი: „იქს ფაქტორზე 4 თვე ფეხმძიმე უფასოდ ვმუშაობდი“



მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სახალხო პროექტი „ნიჭიერი“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან „იმედზე“ გადავიდა, საზოგადოებაში პოლემიკა არ წყდება.

შოუს ჟიურის წევრების ვინაობის გამხელის შემდეგ კი მაყურებლის კრიტიკამ პიკს მიაღწია. რუსთაველის თეატრის მსახიობმა და წამყვანმა რუსკა მაყაშვილმა ამ თემასთან დაკავშირებით, მაყურებლის დიდი ინტერესი დააკმაყოფილა და სოციალურ ქსელში განცხადება გააკეთა:

– დავიწყეთ „ნიჭიერი“ და ძალიან მარტივად ერთხელ დავწერ და მეტი ამ თემას აღარ დავუბრუნდები!

„რუსთავი 2“-მა დახურა ყველა მთავარი შოუ, ანუ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ადგა და დახურა იმიტომ, რომ მთავარი და პრიორიტეტული ჩვენთვის პოლიტიკააო! ხოდამ დამშვიდდით, დაწყნარდით, გადმოერთეთ იმედზე და უყურეთ ქვეყნის ყველაზე მაგარ შოუს, რომელზეც რუსთავი 2-მა თავად თქვა უარი!

რაც შეეხება პოლიტიკას და „ვინმეისტობას“, არასოდეს არავისტი არ ვყოფილვარ და არც ვიქნები! მსახიობი ვარ, მიყვარს ჩემი საქმე და ვერანაირ პოლიტიკას ვერ შევწირავ! თუ რამე კითხვები გაქვთ, პირდაპირ რუსთავი 2-ს ჰკითხეთ! მე ჩემს საქმეს მივხედავ!

პ.ს. ხოდა, რაც შეეხება ფულს, იქს ფაქტორზე 4 თვე ფეხმძიმე უფასოდ ვმუშაობდი, მარტო მე კი არა, მთელი პროდაქშენი, რომელიც საუკეთესოა მთელს საქართველოში! სწორედ ეს სუპერ გუნდი აკეთებს ნიჭიერს იმედზე, სწორედ ამ სუპერ გუნდს რუსთავი 2-მა დაუხურა ქვეყნის მთავარი შოუები! გილოცავთ ახალ წელს!

რუსკა მაყაშვილის განცხადებას ნანუკა ჟორჟოლიანი გამოეხმაურა:

– რუსკა მაყაშვილი – იმედი მაქვს, უბრალოდ შეცდომაში შეგიყვანეს და ამიტომ მოგიწია შენც სხვების მოტყუება, თითქოს ნიჭიერი დახურეს. ეს ასე არაა. ნიჭიერი უბრალოდ გადავიდა სხვა არხზე, უკეთესი შეთავაზების გამო. სიმართლე არ შეიძლება იყოს ორი, ან სამი. ის ერთია. რაც შეეხება პროექტს, მიყვარდა და მიყვარს. ისევე, როგორც შენ. სადაც არ უნდა იყო, ძალიან მაგარი ხარ!

# ოლეგ ქოჩაკიძე გარდაიცვალა



82 წლის ასაკში საქართველოს დამსახურებული მხატვარი ოლეგ ქოჩაკიძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია მხატვრის გარდაცვალების შესახებ რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მეტად გამორჩეული და საინტერესო პიროვნება ოლეგ ქოჩაკიძე. ცნობილმა სამეულმა – ალექსანდრე სლოვინსკი, ოლეგ ქოჩაკიძე და იური ჩიკვაიძე – თავისი განუმეორებელი კვალი დატოვა ქართულ თეატრში. რუსთაველის თეატრში მათ გააფორმეს ისეთი მნიშვნელოვანი სპექტაკლები, როგორებიცაა „ჭინჭრაქა“, „სეილემის პროცესი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ბებერი მეზურნეები“ და სხვა.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ოლეგის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

# ხელოვნების სკოლაში ზურაბ სოტკილავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება



23 სექტემბერს მიზანდარის სახელობის ხელოვნების სკოლაში გაიმართება სპეციალური კონცერტი, რომელიც რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი ქართველი ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ხსოვნას მიეძღვნება.

„დუეტების სასიმღერო ხელოვნება“ – ასე ეწოდება პრეზენტაცია კონცერტს, რომლის ორგანიზატორიც ქართველი ოპერის მომღერალი ვალერიანო გამგებელია. საღამოზე შესრულდება არიები ცნობილი ოპერებიდან სხვადასხვა თაობის ქართველი ოპერის მომღერლების მიერ.

კონცერტის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

კალეიდოსკოპი

# ჯორჯო არმანი მემკვიდრეს ეძებს



მოდელიერმა ჯორჯო არმანიმ ინტერვიუ მისცა ტელეარხ რაინიუს24-ს, რომელშიც განაცხადა, რომ მემკვიდრის ძიებაშია.

83 წლის იტალიელმა დიზაინერმა, რომელმაც საკუთარი კომპანია 1975 წელს დააარსა, განაცხადა, რომ მას მემკვიდრის ადგილზე რამდენიმე პრეტენდენტი ჰყავს შერჩეული, ესენი არიან ორი ნათესავი და რობერტა და სილვანა, ასევე ნათესავი ანდრეა კამერანა, ასევე მისი თანაშემწე მრავალი წლის განმავლობაში პანტალეო დელ,ორკო. მოდელიერმა დაამატა, რომ ასევე თვალს ადევნებს ახალგაზრდა დიზაინერებს, რომლებიც მისი საქმის გაგრძელებას შეძლებდნენ, თუმცა კონკრეტული პიროვნებები არ დაუსახელებია.

ჯორჯო არმანიმ ასევე განაცხადა, რომ მისი მემკვიდრე აუცილებელი არ არის, რომ იტალიელი იყოს.

– ეს სავალდებულო არ არის, – განაცხადა მან, – გავიხსენოთ 70-80-იანი წლები: ყველა მოდელიერი ფრანგი იყო, შემდეგ კი ჩვენ წამოვედით.

# რაიან ფილიპს ოჯახურ ძალადობაში სდებენ ბრალს



მსახიობის რაიან ფილიპის, სერიალ „მსროლელის“ ვარსკვლავის, ყოფილმა მეგობარმა გოგონამ სასამართლოში სარჩელი ოჯახური ძალადობის ბრალდებაზე შეიტანა.

როგორც 21 წლის მოდელი ელსი ჰიუიტი ამტკიცებს, ეს 4 ივლისს მოხდა. მისი თქმით, საშინლად ნასვამ მდგომარეობაში მყოფი 43 წლის რაიან ფილიპი მას თავს დაესხა, როდესაც ის საკუთარი ნივთების წამოსაღებად მივიდა. ახლა მოდელი მსახიობისგან კომპენსაციის სახით 1 მილიონ დოლარს მოითხოვს, მისთვის მიყენებული დაბეჟილობების და მკერდის არეში ტკივილებისთვის.

ამავე დროს ერთ-ერთ გამოცემას ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, რომ მოდელმა მსახიობის პროვოცირება მოახდინა და ის რაიან ფილიპს პირველი თავად დაესხა თავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ხუთშაბათი 21 სექტემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ**" **10.00, 02.45** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "არჩევნები" **14.00, 03.45** დღის მხ/ფ "**პარადინის საქმე**" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **1** სერ. **18.30, 05.45** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **22.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **23.00** მხ/ფ "**სერენიტი**"**1** სერ. **01.00** მხ/ფ "**შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი**"

**06.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **16.00** სერ. "**ტყუილი**" **1** სერ. **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**ჰანა**" **02.30** მხ/ფ "**ვაისი**" **04.20** მხ/ფ "**სიყვარული ზომების გარეშე**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** გააცინე და მოიგე **23.00, 01.30, 02.30** მხ/ფ **03.15** კურიერის დაიჯესტი **04.30** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები **2**" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **13.00** სერ. სერ. "**ძვლები 6**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: ეჭვმიტანილის ქცევა**" **21.00** სერ. "**სპირალი 2**" **6** სერ. **22.30** მხ/ფ "**კონსტანტინი**" **00.45** მხ/ფ "**სახლი ტბასთან**" **02.30** მხ/ფ "**შეთქმულების ისტორია**" **05.00** მხ/ფ "**გოგონა წყალში**" **06.40** მხ/ფ "**პლუტო ნეშის თავგადასავალი**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.30** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 3.10** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოვრების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** სერ. "**შავი სია**" **4.10** ცენზურის გარეშე

**06.15** ქრისტიანული ხელოვნება "ვაზისა და ღვინის თემა ქრისტიანულ ხელოვნებაში" **1 06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-"სათნოება, რომლის გამოც არ იკლებდა მონასტრის სარჩო-საზადებელი" **06.45** აქტუალური თემა "ბილწსიტყვაობა" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-მცირეს გაიღებ, მცირეს მიიღებ" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** შარავანდედი "ავტოკეფალიის აღდგენა, გიორგი III" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახეები **12.10** მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **13.30** ან/ფ "ბარბი მაკნატუნას ქვეყანაში" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "თოჯინები" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-პუკონი" **15.50** ტრაპეზი "კვერცხი სოკოთი" **16.00** დ/ფ "შორიელთა სიახლოვე" **17.00** ქრისტიანული ხელოვნება **17.45** საუფლონი "ღვთისმშობლის შობა-ტაძარი პირმეტყველი" **18.10** ერთხელ ბავშვობაში "გივი შახნაზარი" **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**გამოაღეთ ფანჯრები**" **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** საუფლონი "ღვთისმშობლის შობა" **21.25** დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" **22.20** ჩვენი საგანძური "გელათის ოთხთავი" **22.35** კვირიაკეს სიუჟეტი "ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**ოჯახი**" **23.40** ღვთის სახლი "პარეხი (პარეხთა)" I ნაწ. **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** დ/ფ "ორშაბათს საღამოს" **01.30** მხ/ფ "**საჰაერო ხიდი**"

**მაესტრო** **10.00- 03.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 02.30** ბიზნესი **1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 02.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.50 - 02.50** სპორტი**1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **11.00 - 23.00** ახალი ამბები - მთავარი თემა **2** (განმეორება ყოველ ორ საათში) **23.12, 00.15, 01.15, 02.15, 03.15,** უცხოეთის ამბები

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.4727

ევრო — 2.9561

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3473

100 რუსული რუბლი — 4.2894

## ამინდის პროგნოზი 21 სექტემბრისთვის




## 14 სექტემბრიდან




### ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 19 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

### „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი, ტომი 1




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 21 სექტემბრიდან




### გიგო გაბაშვილი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 22 სექტემბრიდან




ალექსანდრე იასალაშვილი

### შავი ვარდი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## იუმორი



ავტომატიანი მამაკაცი ფოსტაში შევარდა და დაიყვირა:

– ყველანი იატაკზე, თქვენი დედა... დაწექით ჩქარა!

ყველა უსიტყვოდ დაემორჩილა. ამ დროს ის ოპერატორის ფანჯარასთან მივიდა. აცახცახებული ოპერატორი ხმის კანკალით ეუბნება:

– ფული არ მაქვს, ფული არ მაქვს...

– ამანათისთვის მოვედი, გადარიცხვას კი ხვალ მოვაკითხავ.

•••

ქუჩაში მიმავალი მამაკაცი ხედავს, რომ მისკენ ახალგაზრდა ლამაზი ქალი მოდის პატარა გოგონასთან ერთად. კაცი ბავშვს მოეფერება და ეკითხება:

– რა გქვია გოგონი?

– მარ-რ-რინა.

– და შენ დედიკოს რა ჰქვია?

– ლილი.

– და მამიკოს რა ჰქვია?

– მამას ჰქვია „ნაძ-ძ-ძირალა“, ის ჩვენთან არ ცხოვრობს!!!

•••

ექიმი ავადმყოფს გასინჯავს, მოილუშება და თავს გააქნევს. ავადმყოფი ეკითხება:

– ექიმო, რა მჭირს?

– ჰოო, მძიმე სურათია, ჰოო...

– განკურნება შესაძლებელია?

– რა გითხრა? ოპერაცია გჭირდება. მაგრამ პირდაპირ გეტყვი, ძალიან-ძალიან რთული ოპერაცია, ურთულესი ოპერაცია.

– და ოპერაციის შემდეგ ვიცოცხლებ?

– თუ იცოცხლებ? ასეთი ოპერაციის შემდეგ? ალბათ იცოცხლებთ, მაგრამ გულახდილად გეტყვით, არ გირჩევდით.

•••

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს სამხედრო კომისარიატია?

– დიახ. რითი შეგვიძლია გემსახუროთ?

– ჩემი ჯარში წაყვანა არ გინდათ?

– გვინდა და სად ხართ?

– ციხეში...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ძალიან მიყვარს მოგზაურობა.

– მართლა და სად იყავი?

– ახლახან ვსტუმრობდი ჩემი ბინის დედაქალაქს, სამზარეულოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 13 სექტემბრიდან

### ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

### ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.




**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## რიო ფერდინანდი შესაძლოა მოკრივე გახდეს



მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდამ რიო ფერდინანდმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ის შესაძლოა მოკრივე გახდეს და მას ამის გაკეთება შეუძლია. რიოს თქმით, კრივი მას დაეხმარება იმაში, რომ მძიმე წლები დაივიწყოს და ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. ფერდინანდს უფრო კონკრეტული განცხადება არ გაუკეთებია.

– ჩემი მეუღლის გარდაცვალებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა და ბოლო წლებში ბევრი ბრაზი დამიგროვდა, რაც შემიძლია რინგზე გადავიტანო. ფიზიკურად ყოველთვის ძლიერი ვიყავი და, ვფიქრობ, კრივში წარმატებას მივაღწევ, – განაცხადა ფერდინანდმა.

რიოს მეუღლე რებეკა ელისონი 2 წლის წინ გარდაიცვალა.

## მესის ნოუ კამპზე 300 გოლი დაუგროვდა



ლიონელ მესიმ ეიბართან შეხვედრაში პოკერი შეასრულა და არგენტინელ ლეგენდას ნოუ კამპზე 300 გატანილი გოლი დაუგროვდა. მესიმ პირველი გოლი ბარსელონას სტადიონზე ჯერ კიდევ 2005 წელს გაიტანა, როდესაც მასთან ერთად რონალდინიო თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ საგოლე პასი მესის სწორედ რონალდინიომ მისცა და მაშინ დაიწყო მესის გოლების ეპოქა ნოუ კამპზე.

წლევანდელი სეზონის სტარტზე ლეო ძალიან შედეგიანია და მან უკვე 12-ჯერ მოახერხა მეტოქეების დამწუხრება, აქედან 9 გოლი მან ესპანეთის ჩემპიონატში გაიტანა.

## კავანი: „ნეიმართან კონფლიქტი არ მაქვს“



ედისონ კავანიმ ნეიმართან შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ მათი კონფლიქტი უბრალოდ მოგონილია და სინამდვილეში კონფლიქტი არ არსებობს.

კავანის თქმით, ის და ნეიმარი ერთად იბრძვიან პსჟ-ს წარმატებისთვის.

– ნეიმართან კონფლიქტი არ მაქვს. ფეხბურთის დროს ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც თანაგუნდელები მოედანზე კამათობენ. ეს ყველაფერი ჭორია და ჩვენ შორის პრობლემები არ არსებობს, – განაცხადა კავანიმ.

ნეიმარი კავანის იმიტომ გაუნაწყენდა, რომ ურუგვაელმა მას პენალტის დარტყმის საშუალება არ მისცა. მსგავსი შემთხვევა ადრეც მოხდა და ცხადია, რომ კავანი გუნდში თავისი პოზიციების დათმობას არ აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მანჩესტერ სიტის ლევანდოვსკის ყიდვა სურს

მანჩესტერ სიტი ბაიერნის ფორვარდის რობერტ ლევანდოვსკის შეძენით არის დაინტერესებული. სიტის მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა ლევანდოვსკის კარგად იცნობს, რადგან ისინი 2 წლის მანძილზე ერთად მუშაობდნენ ბაიერნში.




მანჩესტერ სიტის ლევანდოვსკის ყიდვა გაუჭირდება, რადგან თვითონ რობერტმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბაიერნიდან წასვლას არ აპირებს. ბაიერნის ხელმძღვანელობამ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ლევანდოვსკი არ იყიდება და, მინიმუმ, კიდევ რამდენიმე წელიწადი ის ბაიერნის ფეხბურთელი იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ტბა მექსიკაში; 3. რუმინეთის დედაქალაქი; 4. ქვის ხავსი; 5. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 7. მდინარე ფლორენციაში; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 15. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ხევსურეთში; 16. ძველად სატუსაღო, შემდგომ იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 18. „ფიატის“ ფირმის მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 19. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

**თარაზულად:** 6. დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, მოტორიანი და იალქნიანი ნავებით; 8. მარგალიტის ყელსაბამი; 9. ველური ვაზი; 10. აზნაურთა ტიტული ძველად საფრანგეთში; 12. ლუთერანული ეკლესია; 14. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. სამფეროვანი მინა; 20. უღელტეხილი კავკასიონზე; 21. კომბინაცია პოკერში; 22. ტყის ფრინველი; 23. სპორტის სათამაშო სახეობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*